ლელო

№ 22
(11 274)

23 - 25 მარტი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

ევროტურნირების ნახევარფინალების წილისყრა

ჩემპიონთა ლიგა

ბაიერნი (გერმანია) — დინამო (უკრაინა)

მანჩესტერი (ინგლისი) — იუვენტუსი (იტალია)

პირველი მატჩები ჩატარდება 7 აპრილს, განმეორებითი — 21 აპრილს

უეფას თასი

ატლეტიკო (ესპანეთი) — პარმა (იტალია).

ოლიმპიკი (საფრანგეთი) — ბოლონია (იტალია)

პირველი მატჩები ჩატარდება 6 აპრილს, განმეორებითი — 20 აპრილს

თასების თასი

ლოკომოტივი (რუსეთი) — ლაციო (იტალია)

ჩელსი (ინგლისი) — მალიორკა (ესპანეთი)

პირველი მატჩები ჩატარდება 8 აპრილს, განმეორებითი — 22 აპრილს.

„რეალი" – „ესტრემადურა". მიატოვიჩი (მარცხნივ)

ევროპის ქვეყნებში მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატების მატჩების შედეგები იხილეთ მე-3 გვ.

თემა განსჯისათვის

და ნაკვალევს ძალა წაშლის?..

ის, რაც ჩვენს ეროვნულ სტადიონზე მოხდა 20 მარტს უკრაინელებთან ამხანაგური მატჩის დროს, მთელ მსოფლიოში უპრეცედენტო შემთხვევად არ ჩაითვლება, მაგრამ მაინც იშვიათად ხდება — ფეხბურთის გულშემატკივრები ყველგან როდი ახერხებენ სტადიონზე და მის ტრიბუნებზე იერიშით შეღწევას. საერთოდ, ყველაზე იშვიათი გამონაკლისიც კი მაინცდამაინც ჩვენთან უნდა მოხდეს; და, ნუ დავფარავთ, ასეთი ქმედება ჩვენი ქაოტური ცხოვრების ყოველდღიურობის ანარეკლია, ოღონდ, ექსტრემალურ სიტუაციაში უფრო მასშტაბურად და უფრო აგრესიულად გამოვლენილი.

ეკონომიკური სიდუხჭირე რომ სპორტის გულშემატკივარსაც თრგუნავს და თუნდაც სტადიონზე შესასვლელად 5-ლარიანი ბილეთის შეძენის შესაძლებლობასაც არ აძლევს, გასაგებია. მაგრამ ვერავინ გაგვიგებს, რომ ამის გამო სტადიონზე მაყურებელი ძალით უნდა შეიჭრას. ვერავინ გაგვიგებს და ერთხელაც იქნება, გაფრთხილება-თითის დაქნევას არ დასჯერდებიან და ისეთ სანქციებს „გამოგვიწერენ", შინ დიდი ფეხბურთის ხილვა მოგვენატრება. ხომ გახსოვთ, თვით ფეხბურთის სამშობლოს არ აპატიეს უკადრისი.

მსოფლიო ფეხბურთში დამოუკიდებელი ინტეგრაცია იმ წეს-ნორმების გათავისებასაც გულისხმობს, რომელიც ფიფა-უეფას მიერაა აღიარებული და რომლის დაცვა-შესრულება ყველა ქვეყნის საფეხბურთო სამყაროსთვის სავალდებულოა. ნებისმიერი გადახვევა კი, როგორც ვთქვით, მკაცრად ისჯება. გასულ შაბათს, ჩვენს სტადიონზე მომხდარი ამბავი დასჯად კატეგორიას განეკუთვნება, მაგრამ ბედი, რომ ამ შემთხვევაში უეფას კომისარი უცხო ვინმე კი არა, ისევ ჩვენი ქვეყნიდან იყო, თუმცა, კაცმა არ იცის, მაინც რა მოხდება.

სტადიონს უფლება აქვს გაყიდოს მხოლოდ ბილეთების ის რაოდენობა, რამდენიც სავარძელი გააჩნია, სხვა ადგილი ტრიბუნაზე ფეხზე მდგომთათვის ითვლება. ჯერ არ დაზუსტებულა რამდენი ბილეთი გაიყიდა, აბონემენტები კი, როგორც სფფ-ში გვი-

იხ. მე-2 გვ.

კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი

რეპლიკა

თელასო, მომეც დენი...

ანუ იმის შესახებ, როგორ აწამებს თელასი კალათბურთში ეროვნული ჩემპიონატის მონაწილეებს

ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატს პრობლემები არ დაელია. ფედერაცია ყველაფერს ცდილობს, რომ მატჩები სკადრის დონეზე ჩატარდეს, მაგრამ თუ შიდა მიზეზების, ასე თუ ისე განეიტრალება კიდევ როგორღაც ხერხდება, გარეშე საფრთხეს ვერა და ვერ მოეძებნა გასაღები. ვერც მოეძებნება, რადგან, ვთქვათ, დარბაზის ელექტროენერგიით მომარაგებაში აქაც ისეთი ქაოსი სუფევს, ვერაფერს გაუგებ. მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, თელასი და მისი ქვესაუწყებო რგოლები, როცა მოესურვებათ, დენს მაშინ გამოთიშავენ და მატჩს შეგიწყვეტენ, მერე უნდათ მალე ჩაგირთავენ, უნდათ სულაც მიგივიწყებენ და... ელოდე ვიდრე არ მოგწყინდება. ასე იყო 21 მარტსაც, როცა სდასუ-ს და თსუ-ს მატჩი დენის გათიშვის გამო გადაიდო, ცხადია, ასეთი აგდებული დამოკიდებულება ლახავს ეროვნული ჩემპიონატის ავტორიტეტს.

მოკლედ, ჩემპიონატის მესამე წრე დაიწყო და მოასპარეზე გუნდებს თავიანთი სპორტული ამოცანის გადასაწყვეტად მხოლოდ მეტოქესთან არ უწევთ ჭიდილი...

მ. ფუფუნავა

„მგაბი" — თსუ 64:90, „ვითა" — ასკ 79:58, სტუ — სდასუ 81:67, „ვითა" — „შევარდენი" 86:79, „დინამო" — ასკ 90:68, „აზოტი" — „მგაბი" 92:62, სტუ-სსუ 98:88.

შეგახსენებთ, რომ მესამე წრიდან მატჩები მხოლოდ შაბათს და კვირას გაიმართება ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში.

დღეს მთავარი მწვრთნელის ბედი გაირკვევა

კალათბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხს დღეს, 23 მარტს განიხილავს ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმი. კანდიდატურები მრავლადაა — ყველა წამყვანი გუნდის თავკაცი, ერთი ორი გარეშეც და თვით ლევან მოსეშვილი, რომელსაც ხელი ვერ შეუწყვეს და მისი პრინციპების კაცს ძალზე სათუოა ახლა დასტოვებენ თუ არა პოსტზე. ისე, ლევან მოსეშვილი ნამდვილად არ იმსახურებდა, რომ მის წინააღმდეგ ინტრიგების ქსელი გახლართულიყო.

პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს" განცხადება

პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო" თავისი არსებობის არც თუ ისე დიდი ხნის მანძილზე ცდილობდა სწორედ შეეფასებინა ქვეყანაში არსებული კრიზისული მდგომარეობა და შეგნებულად არიდებდა თავს მწვავე, საჯარო განცხადებების გაკეთებას ამა თუ იმ პრობლემატურ საკითხებზე, რათა ზედმეტად არ გაგვეღიზიანებინა ისედაც დუხჭირ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის მოსახლეობა.

მაგრამ მას შემდეგ. რაც ცნობილი გახდა, რომ პარლამენტმა მიღებული ბიუჯეტის კანონში სპორტისათვის ფაქტიურად არაფერი გამეტა, დუმილი ღალატის ტოლფასად მიგვაჩნია.

მთლიანი ბიუჯეტის 7%-ით შემცირების კვალობაზე, სპორტის დაფინანსება რატომღაც 30 %-ით!!! შემცირდა. არც ერთი დარგი ასე არ დაზარალებულა. თუ ინფლაციასაც გავითვალისწინებთ, სპორტის დაფინანსება შემცირებულია 72 %-ით, ოლო წლის ბოლოსთვის ინფლაციის დონის ზრდასთან ერთად ეს პროცენტი გაცილებით გაიზრდება.

გასული წლის ზაფხულში მსოფლიოს პირველი ახალგაზრდული თამაშებიდან დაბრუნებულ სპორტსმენებს შეხვედრაზე ქვეყნის პრეზიდენტი სპორტს დაფინანსების გაორმაგებას დაჰპირდა. სპორტულმა სამყარომ ჩვეული ენთუზიაზმით გააგრძელა უხელფასოდ და ულუკმაპუროდ მუშაობა, ნასესხები თანხებით მონაწილეობდა საერთაშორისო შეჯიბრებებში. ვეტერანები, მათ შორის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები იმედოვნებდნენ მათთვის კუთვნილი დახმარების მიღებას, მაგრამ ამაოდ. პარლამენტმა ყველა ეს იმედი გაგვიცრუა და ამასთან ყოველივე ეს დაამთხვია მოახლოებულ ოლიმპიადას!!!

ამასთან, ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობის არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, ყველა დონეზე იგნორირებულ იქნა

იხ. მე-2 გვ.

გამოხმაურება

ნანა ნებიერიძეს დააფინანსებთ — გვაცნობა ვლადიმერ კანკავამ

„ლელოს" წინა ნომერში ვწერდით, რომ ჩვენმა წყალში მხტომელმა ნანა ნებიერიძემ მოიპოვა „სიდნეი-2000"-ის ოლიმპიური საგზური და ახლა, მთავარია მისთვის საშეჯიბრო პრაქტიკა, რათა ოლიმპიურ თამაშებში ღირსეულად იასპარეზოს. ვწერდით იმასაც, რომ უსახსრობის გამო საერთაშორისო შეჯიბრებებში, კერძოდ უკვე მოახლოებულ საბერძნეთის ტურნირში ნანას მონაწილეობა სათუოა, ისევ და ისევ თანხების უქონლობის გამო. ამ პუბლიკაციის შემდეგ რედაქციაში დაგვირეკა თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ კანკავამ და გვაცნობა, რომ ნანა ნებიერიძის საბერძნეთის ტურნირში მონაწილეობას მისი სამმართველო დააფინანსებს. ამით თბილისის მერიამ და სპორტის სამმართველომ კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ დედაქალაქელ სპორტსმენთა ბედი გულთან ახლოს მიაქვთ. ამჯერადაც მადლობის მეტი რა ეთქმით!

ჩვენი მთამსვლელები ნეპალში ჩავიდნენ

გუშინ ნეპალიდან ტელეფონით დაგვიკავშირდა ევერესტის დასალაშქრად გამგზავრებული ინტერნაციონალური ჯგუფის ხელმძღვანელი ბენო ქაშაკაშვილი და გვაცნობა, რომ ჯგუფი ნეპალშია და უკვე შეუდგა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას.

შეგახსენებთ, რომ ევერესტზე ასვლა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ერთობლივ ჯგუფს აპრილ-მაისში აქვს დაგეგმილი.

გასულ კვირას ჩვენმა საზოგადოებრიობამ თბილისის სახელმწიფო ფილარმონიაში საზეიმოდ აღნიშნა თავიანთი კერპის, წარსულში სახელგანთქმული ფალავნისა და ცხოვრების სარბიელზე უსაყვარლესი პიროვნების გურამ სალარაძის დაბადებიდან 60 წლისთავი.

ეს ღონისძიება იმის ნათელი მაგალითი იყო, თუ როგორ უნდა მივაგოთ დამსახურებული პატივი ღირსეულ მამულიშვილებს, რათა მომავალმა თაობებმა იცოდნენ თუ როგორ ფასდება სპორტსმენის და სამაგალითო მოქალაქის ღვაწლი.

და ნაკვალევს ძალა ნაშლის?..

(პირველი გვერდიდან)

თხრეს, საერთო რაოდენობის 20 პროცენტია გასაღებული. ასე რომ, ის თავსატეხი, რომელიც ადრე იყო სტადიონზე მოსული მაყურებლის რაოდენობასთან დაკავშირებით, ახლა ძალიან ადვილი დასათვლელია. სფფ-ს კი უფლება არა აქვს 2 აშშ დოლარის ექვივალენტ ეროვნულ ვალუტაზე ნაკლები ფასი დაადოს ბილეთს. 20000 რომ 5 ლარზე გაამრავლო, რასაც მივიღებთ, ძნელი დასაჯამებელი არ არის.

ამას იმიტომ ვამბობთ, რომ ბილეთები აუცილებლად უნდა გაიყიდოს თუნდაც ხსენებულ მინიმალურ ფასში და ჩვენს ეკონომიკურ სიდუხჭირეს არავინ გაითვალისწინებს, ძალით სტადიონზე შეჭრას არავინ მოგვიწონებს და შეგვინდობს.

კი მაგრამ რას აკეთებდნენ წესრიგის დამცველებიო იტყვით? აქაც სოციალური პრობლემით ცდილობენ ახსნან მომხდარი. აქაოდა, პოლიციელს 6 თვე ხელფასი არ აუღია, მოძალადეს რატომ გაუძალიანდეს, ისიც სტადიონზე შესვლისასო (?!) არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ჩნდება ეჭვი, რომ იმ დღეს, ტრადიციისამებრ, სტადიონზე კვლავ თითო ლარად შეუშვეს ხალხი და მერე კვალი რომ წაეშალათ, ტრიბუნებზე ხალხის ძალად შეჭრას შეუწყვეს ხელი. ჭეშმარიტება, ვისაც ევალება იმან გაარკვიოს. ცხადი ერთია, ასე გაგრძელება ნამდვილად აღარ შეიძლება.

და აქვე ჩნდება წინადადება, იქნებ სფფ-მ პოლიციის შეფებთან დადოს ხელშეკრულება იმის თაობაზე, რომ სტადიონზე გაყიდული ბილეთების შემოსავლის ნაწილს, წესრიგის დამცველები მიიღებენ ოფიციალურად. დაგვერწმუნეთ, ასე უფრო მომგებიანი იქნება ყველასათვის. მით უფრო, თუ იმ უდიდეს ზარალსაც გავითვალისწინებთ, რაც შეიძლება ასეთ უწესრიგობას მოჰყვეს, როგორც ფულადი ჯარიმა ფიფა-უეფადან...

პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს“

განცხადება

(პირველი გვერდიდან)

დღეისათვის სპორტის ხსნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა. ეს არის ქვეყანაში გათამაშებული სხვადასხვა სახის ლატარიებზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესება – შემოსული მოგების სპორტისა და კულტურის სამსახურში ჩაყენების მიზნით. ასეთი პრაქტიკა დამკვიდრებულია ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში.

კანონპროექტი კარგა ხანია მზად არის, მაგრამ მისი მიღება, როგორც ჩანს, ხელს არ აძლევს გარკვეულ ძალებს.

პ.გ. „სპორტული საქართველო“ თავს ვალდებულად თვლის საჯაროდ განაცხადოს შემდეგი:

სპორტისადმი ასეთი აგდებული დამოკიდებულება უმძიმეს ჭრილობას აყენებს ქვეყნის მომავალს, მის სახელსა და ავტორიტეტს, გზას უხსნის ნარკომანიასა და ქვეყნისათვის ტრადიციულად მიუღებელი უზნეობისა და სხვა მავნე ჩვევების დამკვიდრებას.

ხომ არ ხდება ყოველივე ეს საერთაშორისო ორგანიზაციების კარნახით. როგორც მოგეხსენებათ, მათი რეკომენდაციების საფუძველზე მიღებული საგადასახადო სისტემა უკვე წარმატებით ასრულებს თავის დამანგრეველ როლს დაუძლურებული ქართული ეკონომიკის ბოლომდე განადგურების საქმეში.

ამჯერად ისეთი სფეროს მოსპობის ჯერი ხომ არ დადგა, როგორიცაა სპორტი. თავისთავად ჩნდება აზრი რომ, ქვეყნის ფიზიკური სიჯანსაღე, საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებული წარმატებით განმტკიცებული რწმენა საკუთარ შესაძლებლობებში, ეტყობა ხელს არ აძლევს იმ ე.წ. პროდასავლურ კურსს, რომელზედაც ჩვენი პატივცემული ხელისუფლების და პარლამენტის გარკვეული ნაწილია „ორიენტირებული“. ხელს არ აძლევს იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება ახალ მსოფლიოში საქართველოს და მისი მოსახლეობის უმეტესობისათვის წინასწარ განკუთვნილი მარიონეტის და მეორეხარისხოვანი როლის მინიჭება. ქვეყანას, რომელსაც წარმატებები აქვს სპორტსა და ხელოვნებაში, ხომ შეიძლება პრეტენზიები გაუჩნდეს სხვა სფეროებშიც. ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს დაფიქრდეს და შეცვალოს უცხო ქვეყნების მიერ თავსმოხვეული კაბალური კანონები. თვითონვე გამოიყენოს საკუთარი სიმდიდრე, განავითაროს სოფლის მეურნეობა, წარმოება, დაიცვას საკუთარი ბაზარი, გააჯეროს იგი ქართული პროდუქციით და განდევნოს იმპორტული ანალოგები.

მოვლენების ასეთი განვითარება დასავლეთს დააკარგვინებს მოპოვებულ ბაზარს – შემოსავლების ახალ წყაროს. რაღა თქმა უნდა, იგი შეეცდება ეს არ დაუშვას საქართველოში მცხოვრები და ძალაუფლებაში მოკალათებული მათდამი მორჩილი პოლიტიკური ძალების ხელშეწყობით.

სწორედ ამიტომ ხომ არ არის განსაკუთრებულ სამიზნედ ამოღებული ქართული სპორტი – ქვეყნის პოტენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო ატრიბუტი.

ვთხოვთ ქვეყნის პრეზიდენტს, საზოგადოებრიობას, ხმა ავიმაღლოთ იმ დამღუპველი პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის მორიგი მსხვერპლი ამჯერად ქართული სპორტი და ერის სიჯანსაღე ხდება.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია უერთდება ამ განცხადებას და კიდევ ერთხელ, საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ თუ სახელმწიფოში ქართული სპორტისადმი დამოკიდებულება არ შეიცვალა, ნლევანდელი ნელინადი დასასრულის დასაწყისად გადაიქცევა

უფრო დაწვრილებით

ჩეხებთან ერთად საციგაო ტრასაზე



ზაალ გურეშიძე

როგორც ადრე გაუწყეთ, ბაყურიანში შეიქმნა საციგაო სპორტის ეროვნული ფედერაცია (პრეზიდენტი ფელიქს ჭუმარიტაშვილი). ახალშექმნილმა ფედერაციამ კვლავ „ჩააბა საქმეში“ ჩვენი ქვეყნის პირველი ოლიმპიელები სპორტის ამ სახეობაში. კახაბერ ვახტანგიშვილი და ლევან თიბილოვი, აგრეთვეე სხვა მოციგავეები. უცხოელი სპონსორების დახმარებით, ჩვენი ცნობილი წყვილი კვლავ გამოჩნდნენ მსოფლიოს სარბიელზე. გერმანიაში, საყურორტო ქალაქ კიონიგზეშში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენი გუნდი IX იყო ჩეხებთან ერთად. რედაქციაში გვეწვია საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი ზაალ გურეშიძე, რომელმაც დაწვრილებით გვიამბო ამ ასპარეზობის შესახებ.

ჩემპიონატში 23 ქვეყნის ნაკრები მონაწილეობდა, ჩვენი გუნდი საციგაო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილ) დაიფინანსა, რომლის პრეზიდენტი კადეცი ყოფილი გდრ-ის სპორტული ფუნქციონერი და ფელიქს ჭუმარიტაშვილის ძველი მეგობარია – გვითხრა ზ. გურეშიძემ.

● *ჩემპიონატი რა სისტემით ჩატარდა?*

პროგრამაში იყო ვაჟთა და ქალთა ერთადგილიანი და ორადგილიანი ციგებით ასპარეზობა. ჩვენ გვყავდა მხოლოდ ორადგილიანი ციგის ვაჟთა წყვილი. ჩეხებს კი – ერთადგილიანის ქალი და ვაჟი. მოვილაპარაკეთ და გაერთიანებული ძალებით ჩვენც და ჩეხებმაც პროგრამა სრულად დავფარეთ. ასეთ გამონაკლისს საერთაშორისო ფედერაცია უშვებს, რათა გაზარდოს მონაწილე ქვეყნების რიცხვი. ასე რომ, IX ადგილი ერთობლივად გვერგო ორივე ქვეყანას. ყველა ქვეყანას გამოჰყავდა თითო გუნდი, მხოლოდ გერმანელებს, როგორც ასპარეზობის მასპინძლებს, უფლება მისცეს ორი შემადგენლობა გამოესულიყო სტარტებზე. შედეგები ორი ცდის ჯამით ფიქსირდებოდა.

● *მეტოქეებმა არ გაიკვირვეს თქვენი IX ადგილი?*

— სიმართლე გითხრათ, მართლა გაიოცეს. საქართველოში ხომ კარგა ხანია ჩამკვდარია სპორტის ეს სახეობა და ჩვენები 1994 წლის შემდეგ აღარსად გამოჩენილან. მეტოქეებმა ჩინებულად იცოდნენ, რომ შარშან ნოემბრიდან განაახლეს ჩვენმა ბიჭებმა წვრთნა მოახლოებული ტურნირების პერიოდში, ამ ჩემპიონატის წინ კი სულ 8 დღე ივარჯიშეს მხოლოდ.

● *რას უნდა მივაწეროთ, რომ ჩვენებმა აუტსაიდერთა შორის არ ალმოჩნდნენ?*

— თიბილოვი და ვახტანგიშვილი გამოცდილი ოსტატები არიან. ეს ერთი, მეორე — ამჯერად გვქონდა, მართალია არა ყველაზე საუკეთესო, მაგრამ, მაინც კარგი სრულიად ახალი ციგა.

● *რა თანხით შეიძინეთ ახალი ციგა, ეს პრობლემა ხომ მუდამ იდგა ჩვენში...*

— ციგაც საერთაშორისო ფედერაციამ შეგვიძინა, საერთოდ, ფილ-მა სულ 39 ათასი გერმანული მარკა დაგვახარჯა სეზონის განმავლობაში.

● *თქვენ თქვით, რომ ყველაზე საუკეთესო ციგა არ გვქონდაო, ხომ შეიძლებოდა ბარემ უახლესი და მოდერნიზებული ციგა შეეძინათ?*

— არა, ამას არავინ გააკეთებს, რადგან ციგა გადამწყვეტ როლს თამაშობს, თანაბარი ძალის ოსტატთა პაექრობაში და კონკურენტი, ამ შემთხვევაში იტალიელთა ფირმა, არასგზით არ მოგვცემდა მოდერნიზებულ ციგას, თიბილოვის და ვახტანგიშვილის შესაძლებლობები მათ კარგად იციან.

● *მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ თქვენ შინ დაბრუნდით, სეზონი ხომ ჯერ არ იყო დამთავრებული...*

— უსახსრობის გამო ვერ წავედით შვეიცარიაში და იაპონიაში, სადაც მსოფლიო თასის ბოლო ორი ეტაპი ტარდებოდა. არადა, პირველ-ორ ეტაპში მონაწილეობა მიღებული გვქონდა.

● *გამოდის, რომ ჩვენმა მოციგავეებმა ვარჯიშიც შეწყვიტეს...*

— თიბილოვიც და ვახტანგიშვილიც ბაყურიანში არიან და თხილამურებით ვარჯიშობენ მხოლოდ.

● *მომავალში რისი იმედი გაქვთ?*

— ისევ საერთაშორისო ფედერაციისა და მისი პრეზიდენტის.

ესაუბრა
თ. თომაშვილი

პირველობა „ლელოს“ პრიზზე გადაიდო

გუშინ, ბაკურიანიდან ტელეფონით დაგვიკავშირდა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი სოფიო ხეთაგაშვილი და გვაცნობა, რომ სამთო-სათხილამურო სპორტში გაზეთ „ლელოს“ პრიზზე საქართველოს პირველობის დაწყების წინ, მსაჯთა კოლეგიამ შეამოწმა ტრასები და აღმოჩნდა, რომ კვირა დღის მზიან ამინდს თითქმის მთლიანად დაუდნია თოვლი. ახლა ბაკურიანში ნაკადულებად მოედინება „თეთრი საბურველი“. ზამთარმა თუ კიდევ შეგვახსენა თავი და თოვლი ისევ მოვიდა, შეჯიბრება, რომლის გასამართავად ასე გულმოდგინედ ემზადებოდა მთელი ბაკურიანი, — აუცილებლად ჩატარდება.

ჩოგბურთი საქართველოს პირველობა

უფროსების კვალში ნიჭიერი თაობა დგას

14-16 წელი სპორტში, მათ შორის ჩოგბურთში ის ასაკია, როცა ახალი თაობა თამამად დგება უფროსი თაობის ტრადიციების გამგრძელებელთა რიგებში. საქართველოს პირველობამ, რომელიც ახლა სწორედ ამ ასაკში გაიმართა, დაგვანახა, რომ ცვლა ნამდვილად ღირსეული მოდის. ისინი აშკარად გამოირჩევიან შრომისმოყვარეობით და ნიჭიერებით.

ჭაბუკებს „დინამოს“ კორტებმა უმასპინძლა. აქ ადგილები ასე განაწილდა: 1. ოთარ ენუქიძე (მწვრთნელი გურამ თოხაძე), 2. კოკა ბურჭულაძე (თეიმურაზ კაკულია), 3. ანდრო თოლორაია (ივანე გოგილაშვილი).

გოგონების შეჯიბრება სამედიცინო ინსტიტუტის მოედნებზე გაიმართა: 1. ნინო ესებუა (დათო ისლამოვი), 2. თამუნა ზედგენიძე (ვანო თხინვალელი), 3. ანა ჩაჩუა (თეიმურაზ კაკულია).

ვლადიმერ მარგალიტაძე,
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის IV კურსის სტუდენტი, ჩოგბურთელი.

გამოცდილება

ბიზნესმენმა ბავშვებს სპორტული კომპლექსი აუშენა, მწვრთნელს კი სახლი უყიდა...

იქნებ თქვენც მიხედოთ თქვენს სოფლებს, ქართველო ბიზნესმენებო!

ჩრდილო ოსეთის სოფელ ელხოტოვოში საზეიმოდ გაიხსნა სპორტული კომპლექსი, რომელიც ამავე სოფლის მკვიდრმა, ყოფილმა მოჭიდავემ, ბიზნესმენმა ახსაბეკ ხაბულოვმა საკუთარი სახსრებით ააშენა. სოფლის პირობაზე კომპლექსი საკმაოდ თანამედროვე ნაგებობაა: 60 მეტრია სიგრძე, 32 — სიგანე, 9,5 — სიმაღლე. კომპლექსს აქვს სამი სპორტული დარბაზი თამაშებისათვის 500 დასაჯდომი ადგილით, ცალკეა საჭიდაო დარბაზი.. იქვეა ტრენაჟორების დარბაზი, აღდგენითი ცენტრი, კვების ობიექტი ბარით. ნაგებობა სარეკორდო ვადაში, 7 თვეში აუგიათ და უკვე ასობით ბავშვი მეცადინეობს სპორტულ სექციებში. მალე კომპლექსს ჩოგბურთის ცენტრიც შეემატება.

აი, როგორ მსჯელობს ახსაბეკ ხაბულოვი: „ელხოტოვო, — ერთადერთია ჩრდილო ოსეთში, სადაც არც ერთი მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი არ აღზრდილა თავისუფალი სტილით ჭიდაობაში — რესპუბლიკის ამ, ჭეშმარიტად ეროვნულ სახეობაში. ეს ხარვეზი, მისი აზრით, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აღმოიფხვრას. სპორტკომპლექსი ხაბულოვის გეგმის — მხოლოდ ერთი ნაწილია. მეორე ნაწილი უკავშირდება ერთ-ერთ საუკეთესო ოსეთის მწვრთნელ ი. საკოევს, რომელსაც ალტრუისტმა-ბიზნესმენმა ელხოტოვოში სახლი უყიდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავად ხაბულოვი, ჩვენს ლერი ხაბელოვისაგან განსხვავებით, ხალიჩაზე განსაკუთრებული წარმატებებით არ გამოირჩეოდა — რიგითი მოჭიდავე იყო. სამაგიეროდ, მისი ვაჟები უმაღლეს მიღწევებზე ოცნებობენ. უფროსი — რუსეთის ჭაბუკთა პირველობის მეორე პრიზიორია, მეცადინეობს ვლადიკავკაზის კლუბ „ალანში“ ცნობილ მწვრთნელ მსოფლიო ჩემპიონ არსენ ფადაევთან, უმცროსი კი ელხოტოვოს კომპლექსში ეუფლება ჭიდაობას.

ბარბერი: ინგილექბი – მაგერიალური დახმარება

როცა საქართველოს ინტელექტუალური კაპიტალზე ლაპარაკობენ, არ შეიძლება სპორტს გვერდი ავუაროთ. ჩვენი სპეციალისტები, განებავთ, უშუალოდ მწვრთნელები, განებავთ სპორტულ ფსიქოლოგიაში, მედიცინაში, ბიოლოგიაში თუ ფიზიოლოგიაში დასაქმებული მეცნიერები, ყოველთვის იყვნენ ავანგარდში. დღესაც ბევრი მათგანი უანგაროდ ემსახურება საქმეს, ბევრიც უცხოეთში აგრძელებს მოღვაწეობას.

ახლა ყოველივე ეს ერთმა ფაქტმა გაგვახსენა. ვფიქრობთ, აღარავის აეჭვებს, რომ სპორტის არაოლიმპიურმა სახეობებმა ჩვენში ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა და მათმა წარმომადგენლებმა უამრავი მედლები მოიპოვეს ყველაზე ავტორიტეტულ საერთაშორისო შეჯიბრებებში. ეს მსოფლიოში შეუმჩნეველი არ რჩება და ბევრს სურს ჩვენს სპეციალისტებთან ურთიერთობა. მაგალითად, ამ დღეებში თურქეთმა საქართველოს კარატე-დოს ფედერაციას შესთავაზა დახმარება მაღალკვალიფიციური ინსტრუქტორების მომზადებაში, სანაცვლოდ კი მეზობელი ქვეყანა ჩვენს ფედერაციას მატერიალურ შემწეობას გაუწევს. საქართველოს კარატე-დოს ფედერაციამ (პრეზიდენტი კახა ბასილია) და თურქეთის ფედერაციამ ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმება უკვე ოფიციალურად გააფორმეს.

თანამშრომლობის პირველი გამოძახილი კი ის გახლავთ, რომ საქართველოს კარატისტები თურქეთის ფედერაციის ხარჯზე მიიწვიეს სტამბულის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც იქ დღეს უნდა დამთავრდეს.

ც. ბაძრაძე

იმუშავეთ ეფექტურად და ჩვენთან ერთად

ჩვენი დანადგარები დაკომპლექტებულია ავტომასპართ სადგურებზე:
„საველიჩი“, „სიერა'ოილი“, „პარს'ოილი“, „გიოჩი“, „დემეგრა“

თბილისის საწყობიდან:
ვულკანიზაციისა და ბალანსირების დანადგარები, კომპრესორები, 2,5 ტ. მანქანის ამწე, მაღალი წნევის ავტოსამრეცხაოები ორთქლით, ავტოაქსესუარები.

უფასოდ:
* შეფ-მონტაჟი
* სპეციალისტების სწავლება
* საგარანტიო მომსახურება

FAX. TEL: 23 00 96 2928 64 TEL. FAX.

ავტოსერვისის დანადგარების ექსკლუზიური იმპორტიორი. თბილისი, ჯავახიშვილის 49.

საერთაშორისო მატჩები

იქაც, აქაც

საქართველო (ეროვნული გუნდი) – უკრაინა (ეროვნული გუნდი) 0–1

საქართველო: გრიშიკაშვილი, ბალაშვილი, ჩხაიძე, წერეთელი, თარხნიშვილი, კალაძე, ნემსაძე (გახოკიძე, 70), კობიაშვილი, დ. ჯანაშია (ალექსიძე, 21), დემეტრაძე, ფოცხვერია (აშვეთია, 64).
უკრაინა: ვორობიოვი (შოვკოვსკი, 46), მიკიტინი, პოპოვი, კოვალი, გოლოვკო, კალიტვინცევი (ვაშჩუკი, 46), კირიუხინი, კარდაში (გუსინი, 46), კოვალიოვი, სკაჩენკო (მიზინი, 80), კონოვალოვი.
გოლი: კონოვალოვი (78)
მსაჯი: კაზარიანი (სომხეთი)

უკრაინა მართლაც და ამხანაგურად გაგვეჯიბრა და მოგვიგო. მათ რამდენიმე კიევის „დინამოელი“ საერთოდ არ ათამაშეს (ლუჟნი, კოსოვსკი, რებროვი, შევჩენკო), ზოგიც მხოლოდ მეორე ტაიმში, შეცვლებზე გამოიყვანეს. სტუმრებმა მაინც თავისი ფეხბურთი ითამაშეს, გასვლითი მატჩისთვის შემუშავებული ვარიანტით გაგვეჯიბრნენ. სათამაშო დისციპლინა, სწრაფი კონტრშეტევები, არავითარი ფაფხური და ზედმეტობა, სიდინჯე და შეუპოვრობა – გამარჯვება მათთვის ალალი იყო. ჩვენ კი, წავაგეთ. არ გვყავდა შოთა, აჩიკო, ზაზა ჯანაშია, ჯამარაული, ქინქლაძე, ქეცბაიაზე ლაპარაკი კი, თუ ვლადიმერ გუცაევს ყურს დავუგდებთ, აღარც ღირს – ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცმა ხომ ადრეც აღნიშნა, რომ თურმე ასეთი ფეხბურთელი კი არა, ფეხბურთელებიც კი გვყავს, რომლებიც ქეცბაიას არყოფნას გუნდს სრულებით არ დაატყობენო. მაგრამ ვინ არიან ეს ფეხბურთელები? ლამის ნახევარი სეზონის უთამაშებელი ქინქლაძე ერთ კვირაში მწყობრში ჩადგება და სლოვენიასთან გაიბრწყინებს? თუ გახოკიძე მოუმატებს ისე მაგრად ერთ კვირაში, რომ სპორტსმენისთვის აუცილებელი კოორდინაცია ჰქონდეს? რატომ უნდა იყოს ჩვენი ეროვნული გუნდის თავდაცვისათვის ის ფაქტი გაუგებარი, რომ საქართველო მაღალი [illegible]სის ფეხბურთელებით ძალიან ღარიბია? განა შეიძლება რომ, ეს ღარიბი რესურსი მაქსიმალურად არ გამოვიყენოთ? ასეთი, შეკითხვები იცოცხლეთ, ბევრია, მაგრამ პასუხის გამცემი არავინაა, პასუხს ალბათ 27 მარტს სლოვენიასთან ჩატარებული მატჩით თუ მივიღებთ.

რაიმე ახალი საქართველოს ნაკრებმა უკრაინასთან ვერ აჩვენა, რაც პრინციპში არც იყო მოსალოდნელი. ადვილად პროგნოზირებადი ის იყო, რომ ფეხბურთელები, რომლებსაც გუცაევმა ნაკრებში დამკვიდრების შანსი მისცა, მთელ სულსა და გულს ჩადებდნენ თამაშში. აკი, ასეც მოხდა – ჩვენმა ბიჭებმა ნაღდი, კაცური ბრძოლა გაუჩაღეს მეტოქეს, მაგრამ მხოლოდ ერთი საგოლე მომენტი შექმნეს. განსაკუთრებული ქების ღირსია კობიაშვილი, დემეტრაძე, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა უკრაინის დაცვას. კარგად გამოიყურებოდა ბალაშვილი, მეტი უნდა მოვთხოვოთ გუნდის კაპიტან გიორგი ნემსაძეს...

მაგრამ, მაინც რას წარმოადგენს საქართველოს ნაკრები გუცაევის ხელში? ნაკრები, რომელმაც სამი ოფიციალური მატჩიდან ერთი მოიგო და ორი წააგო, გუნდი, რომელსაც ლიდერი კი არა, წამყვანი მოთამაშეების გამოკვეთილი ჯგუფი არა ჰყავს, გუნდი, რომელსაც უკრაინამ იქაც და აქაც, ამხანაგურად, მოუგო. ღმერთმა ქნას, 27 მარტიდან საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის ახალი ჟამი, სულ სხვა ეპოქა დაიწყოს.

დათო თავართქილაძე

საქართველო – უკრაინა 1–0

ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა უკრაინელ თანატოლებს სძლიეს 1-0. ბურთი ფიტაიშვილმა გაიტანა.

საქართველოს ნაკრები: ჭურაძე (გაბელია, 62), რევაზიშვილი, ჭანკოტაძე, დავითნიძე, შენგელია (ჩომახიძე, 46), სახვაძე (გემაზაშვილი, 46), გვაზავა (მუჯირი, 46), მახვილაძე, დათვაძე (მეგრელაძე, 46), წიტაიშვილი (ნინუა, 85), ჩხეტიანი (დარასელია, 46).

მ. მესხის სახელობის პირველობა 1983 წ. დაბადებულთა შორის

I ჯგუფი, II წრე

„ვაკე-91“ (I) — „დინამო“-84 0-0
„ოლიმპიკი“-2 — ასს 2-1
„სიხარული“ — „ფეიქარი“ 0-3
„დინამო-84“ — „ავაზა“ 1-0

ძვირფასო გულშემატკივრებო!

20 მარტს, უკრაინის ეროვნულ გუნდთან შეხვედრისას, ჩვენს ეროვნულ სტადიონზე აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა – თამაში 20 წუთის დაწყებული იყო, როცა ტრიბუნებს ათასობით უბილეთო გულშემატკივარი მოაწყდა და მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, ადგილები ძალით დაიკავა. 20 მარტს კი 9000 ბილეთი და 2000 აბონემენტი გაუყიდავი დარჩა.

ძვირფასო გულშემატკივრებო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უფლება აქვს ეროვნულ სტადიონზე ევროპის შესარჩევ მატჩებზე გაყიდოს არაუმეტეს 20500 დასაჯდომი ინდივიდუალური ადგილის აბონემენტი და ბილეთი. ეს საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან წინათ თბილისში ჩატარებულ ევროპის შესარჩევ თამაშებზე გაყიდულ ბილეთებსა და დამსწრე მაყურებელს შორის სხვაობა დაახლოებით 20.000 კაცს შეადგენდა. უეფა ამას შემოსავლის დამალვად მიიჩნევს და სასტიკ ბრძოლას უცხადებს. (უეფას ბარკვეული პროცენტი ეკუთვნის ჩატარებული თამაშებიდან). 1998 წელს უნგრეთის ფეხბურთის ფედერაცია ასეთი ქმედებისათვის უეფამ 150.000 შვეიცარიული ფრანკით დააჯარიმა და ანალოგიური სანქციისათვის სფფ პირველია სიაში. ახლა შემოსავლის ორად ორი წყარო დარჩა – ტელეტრანსლაციებიდან მიღებული შემოსავალი და ნაკრების მატჩებზე გაყიდული ბილეთები. გავითვალისწინოთ რა საქართველოში შექმნილი მძიმე სიტუაცია, სფფ-ს უმძიმესი ფინანსური მდგომარეობის მიუხედავად, პირველ არხს უფასოდ მივეცით ამ მატჩის ტრანსლირების უფლება. მოკლედ, ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ, მაგრამ...

ძვირფასო გულშემატკივრებო! უმორჩილესად გთხოვთ, ნუ დატოვებთ საქართველოს უფეხბურთოდ!

27 მარტს თქვენი გულისხმიერების, თანადგომისა და შეგნების იმედი გვაქვს. 20 მარტის ინციდენტი არასდროს აღარ უნდა განმეორდეს. ჩვენ გვჯერა თქვენი...

პატივისცემით,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია

ეროვნული ჩემპიონატები

«ლაციო» — «ვენეცია»

ინგლისი ● XXX ტური

არსენალი – ქოვენთრი 2-0, ბლექბერნი – უიმბლდონი 3-1, ლიდსი – დერბი 4-1, ნოტინგემი – მიდლსბრო 1-2, საუთჰემპტონი – შეფილდი 1-0, ვესტჰემი – ნიუკასლი 2-0, ასტონ ვილა – ჩელსი 0-3, მანჩესტერი – ევერტონი 3-1.
ლიდერობენ: მანჩესტერი (63), არსენალი (59), ჩელსი (56).

გერმანია ● XXIII ტური

დუისბურგი – ფრაიბურგი 1-0, ვოლფსბურგი – დორტმუნდი 0-0, ჰერტა – მიუნხენ 1860 2-1, ბაიერი – შალკე 1-1, ბაიერნი – ვერდერი 1-0, ბოხუმი – კაიზერსლაუტერნი 1-2, შტუტგარტი – გლადბახი 2-2, ნიურნბერგი – აინტრახტი 2-2, ჰანზა – ჰამბურგი 0-1.
ლიდერობენ: ბაიერნი (56), კაიზერსლაუტერნი (42), ბაიერი (41).

საფრანგეთი ● XXVII ტური

ოლიმპიკი – ლორიენი 4-1, ბორდო – სტრასბური 1-0, ოსერი-პსჟ 0-1, მეცი – ლანსი 0-1, ნანტი – მონაკო 0-1, ჰავრი – ლიონი 1-0, რენი – ტულუზა 1-0, მონპელიე – სოშო 0-0, ბასტია – ნანსი 1-2
ლიდერობენ: ბორდო (59), ოლიმპიკი (58), ლიონი (47).

ესპანეთი ● XXVII ტური

ესპანიოლი – ატლეტიკი 1-1, ალავესი – ატლეტიკო 2-0, სელტა – რასინგი 3-0, ოვიედო – ვალიადოლიდი 0-0, მალიორკა – დეპორტივო 1-2, რეალი – ესტრემადურა 2-[illegible] სოსიედადი – ბარსელონა 0-2, სალამანკა – ბეტისი 1-3, ტენერიფე – ვ[illegible] ლიარეალი 2-2, ვალენსია – სარაგოსა 1-1.
ლიდერობენ: ბარსელონა (53), სელტა (48), დეპორტივო (47), ვალენსია (47).

«უდინეზე — «პარმა»

იტალია ● XXVI ტური

ბოლონია – ვიჩენცა 4-2, კალიარი – ემპოლი 5-1, ფიორენტინა – პიაჩენცა 2-1, იუვენტუსი – რომა 1-1, ლაციო – ვენეცია 2-0, მილანი – ბარი 2-2, პ[illegible]რუჯა – სალერნიტანა 1-0, სამპდორია – ინტერი 4-0, უდინეზე – პარმა 2-1.
ლიდერობენ: ლაციო (55), ფიორენტინა (50), მილანი (48)

საქართველოს X ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (II წრე)

პირველი ჯგუფი XIX ტური

● ტურის *„მიღწევად“* შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ, ისევე როგორც V ტურში, ასევე აქ არც ერთი მატჩი არ დამთავრებულა ფრედ.
ტურის *„მოვლენაა“* ქუთაისის „ტორპედოს“ მარცხი ზედიზედ ექვსი გამარჯვების შემდეგ.
აღსანიშნავია აგრეთვე თბილისის „დინამოს“ ზედიზედ მერვე გამარჯვება.
● ტურში გატანილია 32 ბურთი (რაც შეადგენს საშუალოდ ერთ მატჩში 4,0 ბურთს.).
მასპინძლებმა გაიტანეს 14 ბურთი, სტუმრებმა კი — 18.
პირველ ტაიმში გატანილია 11 ბურთი, მეორეში — 21.
● მასპინძლებმა მოიგეს 3 მატჩი, სტუმრებმა — 5.
საერთოდ, ჩემპიონატის დაწყებიდან, მასპინძლებმა გაიმარჯვეს 67 მატჩში (რაც შეადგენს ჩატარებული მატჩების 44,4 %), ფრედ დამთავრდა 40 მატჩი (26 %), სტუმრებმა გაიმარჯვეს 45 მატჩში (29,6 %).
● ერთადერთი გუნდი, რომელსაც სტუმრად გამარჯვება არ მოუპოვებია, არის ლანჩხუთის „გურია“.
ჩემპიონატის დაწყებიდან სტუმრად ყველაზე მეტი ქულა აიღეს: „დინამო“ თბ. — 26 ქულა; „ლოკომოტივმა“ — 20; „ტორპედომ“ — 19; „მერანი-91“-მა 13. ყველაზე ნაკლები კი: „გურიამ“ — 2 ქულა; „სიონმა“ — 4; „გორდამ“ — 6.
● ტურში დაფიქსირდა ერთი „ჰეტრიკი“ (გოგოხია). აგრეთვე დაფიქსირდა 4 „დუბლი“ (დ. მახარაძე — „გურია“, ჩუხუა — „მერანი“, რ. ახალკაცი — „დილა“; მ. აშვეთია — „დინამო“ თბ. აღსანიშნავია აგრეთვე რომ ეს აშვეთიას მე-6 „დუბლია“).
● ტურში კარი „მშრალად“ შეინახა გ. ლომაიამ — „მერანი“. ჩემპიონატის დაწყებიდან კი ლიდერობენ შემდეგი მეკარეები: დ. ჯანელიძე — („ლოკომოტივი“) — 11 მატჩი; დ. გვარამაძე („დინამო“ თბ) — 8; ს. ჭურაძე („ვიტ-ჯორჯია“) — 7; გ. ლომაია („მერანი“) და თ. ჩლაიძე („არსენალი“) — 6.
● ტურში 29 ფეხბურთელმა მიიღო გაფრთხილება, ხოლო ერთი გააძევეს მინდვრიდან (ა. გოგიბერიშვილი, „ლოკომოტივი“).
ყველაზე „უხეში“ მატჩი იყო: „ვიტ-ჯორჯია“ — „ლოკომოტივი“. ამ მატჩში გააფრთხილეს 7 ფეხბურთელი და ერთი გააძევეს.
● **ბომბარდირები:**
მ. აშვეთია („დინამო“ თბ) — 18 ბურთი.
ზ. იონანიძე („ტორპედო“) — 15
დ. მახარაძე („გურია“) — 12
ჰ. წივწივაძე („ლოკომოტივი“) — 11
ე. გვასალია (კოლხეთი“) — 11
ა. კაიდარაშვილი („დილა“) — 9
გ. მეგრელაძე („ტორპედო“) — 9
ლ. ხომერიკი („დინამო“ ბთ) — 9

ვეფხვია ჯალაღონია,
აფხაზეთი, სოფ. ფშაფი.

მოულოდნელი საფრთხე

საყოველთაო აზრით, ახლა თემურ ქეცბაია „ნიუკასლ იუნაიტედის“ შემადგენლობაში ძალიან კარგად თამაშობს, ხოლო, როგორც მოგეხსენებათ, „ევერტონთან“ სათასო მატჩის გმირადაც კი ჩაითვალა. ეს ასეა, მაგრამ წარმოიშვა სრულიად მოულოდნელი საფრთხე: რახან მას თავის კლუბში მატჩების 75 პროცენტი არა აქვს ჩატარებული, ინგლისში მოქმედი კანონების თანახმად, შეიძლება ამ ქვეყანაში მუშაობის უფლებაც კი დაკარგოს.

საფრთხე კი არსებობს, მაგრამ „ნიუკასლის“ მთავარი მწვრთნელი რუუდ გულიტი იმედოვნებს, რომ ხელისუფლება მხედველობაში მიიღებს ქეცბაიას ხანგრძლივ ტრავმას, რის გამოც მან ეს მატჩები გააცდინა.

მხოლოდ 2000 ბილეთი

27 მარტისათვის, როცა ერევანში ერთმანეთს ხვდებიან სომხეთისა და რუსეთის ნაკრები გუნდები, „რაზდანის“ სტადიონზე, სადაც 70 ათასი მაყურებელი ეტევა, გაიყიდება სულ 2 ათასი ბილეთი, ეს უეფას გადაწყვეტილების თანახმად ხდება, რადგან „რაზდანი“ თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესატყვისება, კერძოდ, აქ არ არის დადგმული პლასტიკური ინდივიდუალური სავარძლები. ამიტომ მომდევნო შესარჩევი მატჩი ევროპის პირველობაზე სხვა სტადიონზე ჩატარდება, რომლის რეკონსტრუქცია ახლა მიმდინარეობს. შემოდგომაზე ამ სტადიონზე უკვე 18 ათასი ადგილი იქნება.

კიევის „დინამო“ და დონეცკის „შახტიორი“

უკრაინის ჩემპიონატში გათამაშებულია 17 ტური, თუმცა პირველობის დამთავრებამდე ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ ერთი რამ უკვე ცხადია — ჩემპიონობის პრეტენდენტი ორია: კიევის „დინამო“ და დონეცკის „შახტიორი“.

უპირატესობა, რა თქმა უნდა, მაინც კიეველებს აქვთ. მათ 39 ქულა მოაგროვეს (12 მოგება, 3 ფრე და 1 წაგება, ბურთები 47-12) და ერთი მატჩი კიევის ცსკასთან გამოტოვებული აქვთ. „დინამოს“ შემადგენლობაში თამაში დაიწყეს რუსმა ლეგიონერებმა — თავდამსხმელებმა იაშკინმა და სერებრენიკოვმა, რომლებიც მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკის მოსწონს და მათი სახით შევჩენკო-რებროვის ცნობილი დუეტის შემცვლელებს ამზადებს.

დონეცკის „შახტიორს“ 37 ქულა აქვს (12 მოგება, 1 ფრე და 4 წაგება. ბურთები 50-16). მას შემდეგ, რაც უკრაინის პირველობა ტარდება, ეს პირველი შემთხვევაა, რომ კიევის „დინამოს“ სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა.

ერიქსონმა ძალზე ბევრი შეძლო

ისე, რომ შვედმა სპეციალისტმა სვენ-გორან ერიქსონმა რომის „ლაციოში“ ძალზე დიდ წარმატებებს მ[illegible] აღწია, ახლა საყოველთაოდ აღიარ[illegible]ბული ფაქტია. ორი უზარმაზარი წ[illegible]რმატება არც ისე მიუწვდომელი ჩან[illegible] ჯერ ერთი, თუ ძალზე მოულოდნელ[illegible] რამ არ მოხდა, „ლაციო“ წლეულს იტ[illegible]ლიის ჩემპიონი უნდა გახდეს. ამასთა[illegible] რომაელებს თასების მფლობელთა თ[illegible]სის დაუფლების სერიოზულ პრეტე[illegible]დენტებადაც მიიჩნევენ. ვნახოთ!

სულ მალე ერიქსონს კლუბთან კ[illegible]ნტრაქტი უთავდება. ახლა განიხილ[illegible]ვენ მისი გაგრძელების შესაძლებლ[illegible]ბებს.

– მე და ყველა ფეხბურთელიც კმ[illegible]ყოფილი დავრჩებით, თუ კლუბის პრ[illegible]ზიდენტი კრანიოტი შვედს ხელშეკრ[illegible]ლებას 2002 წლამდე გაუგრძელებ[illegible] ყველა ხედავს, როგორ ბრწყინვალე[illegible] მუშაობს ჩვენი მწვრთნელი. შემდეგ [illegible] როცა იგი ყველა შეჯიბრებას მოიგებ[illegible] რაც კი შესაძლებელია, მე მინდა თვი[illegible] გავხდე „ლაციოში“ მისი შემცვლელ[illegible] — განაცხადა კლუბის ვეტერანმა რ[illegible]ბერტო მანჩინიმ.

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

„სელტა“ – „მალიორკა“. პენევის (მარცხნივ) და მარსელინოს ორთაბრძოლა

„ბეტისი“ – „რეალი“. ოტერო (მარჯვნივ) ცდილობს გაექცეს მიატოვიჩს

რივალდო

ჯერ ნურაფერს გამოვრიცხავთ

ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა

ესპანეთის პირველობაზე 4 აპრილამდე მცირე შესვენებაა, რაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებით არის გამოწვეული. ჯერ, რა თქმა უნდა, კიდევ დიდი გზაა გასავლელი (ბოლო, 38-ე ტური 20 ივნისს გაიმართება) და არაფერია გამორიცხული. ისე კი, კარგა ხანია, გამოიკვეთა საპრიზო ადგილების პრეტენდენტთა ჯგუფი, რომელთა შორის, ცხადია, ხშირი

გადაადგილებებია.

„ბარსელონა“ ერთხანს ყველა შეხვედრას იგებდა, მაგრამ მასაც დაუდგა მძიმე დრო, როდესაც სულ რამდენიმე დღეში ზედიზედ სამი (!) მატჩი წააგო „ვალენსიასთან“, ამასთან,. ნიჭიერმა ტაქტიკოსმა კლაუდიო რანიერიმ, ნამდვილი თავსატეხი გაუჩინა ლუის ვან გაალს, ხოლო ბრწყინვალე არგენტინელმა ოსტატმა კლაუდიო ლოპესმა ტარაბუა დაახვია კატალონელთა მცველებს. ამის შემდეგ ცხადი გახდა, რომ თუმცა „ბარსელონა“ კვლავ ჩემპიონობის ძირითად პრეტენდენტად ითვლება, მაგრამ მას ფრიად სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა.

„ვალენსიას“ გარდა ჩემპიონობისათვის ბრძოლას მეტნაკლებ შესაძლებლობას კვლავ რამდენიმე კლუბი ინარჩუნებს. „მალიორკას“ ფინანსური შესაძლებლობები არ არის მაინცდამაინც დიდი, მაგრამ არგენტინელმა მწვრთნელმა ექტორ კუპერმა ნამდვილად შესანიშნავად იმუშავა. მან შეძლო რამდენიმე არგენტინელი ოსტატის მიზიდვა და შეკრული ანსამბლი ჩამოაყალიბა. გარდა ქვეყნის პირველობისა, „მალიორკა“ დიდი წარმატებით გამოდის თასების მფლობელთა თასზე. აი, რას ამბობს მწვრთნელი კუპერი: „არავინ ელოდა, რომ „მალიორკა“ ამ სეზონში ასეთი წარმატებით ითამაშებდა, მაგრამ ჩვენ არც ახლა ვაპირებთ. მიღწეულით დაკმაყოფილებას.

„სელტას“ პატარა ქალაქ ვიგოდან გამოცდილი მწვრთნელი ვიქტორ ფერნანდესი უდგას სათავეში. საინტერესოა მისი აზრი „ბარსელონასთან“ ფრედ (0-0) დამთავრებული მატჩის შემდეგ: „ჩვენ მშვენივრად ვთამაშობდით და თითქოს ყველაფერი გავაკეთეთ მოგებისათვის, მაგრამ ბურთს არავითარ შემთხვევაში „არ სურდა“ ბადეში გახვევა. მაგრამ ამის მიუხედავად მაინც მინდა ჩემი გუნდის შექება. ყველ რგოლში ვჯობდით „ბარსელონას“, რაც პრაქტიკულად ესპანეთის ჩემპიონატში ვერავინ შეძლო. ჩვენ კარის აღების არაერთი მომენტი გვქონდა, „ბარსელონას“ კი მხოლოდ ერთი. „სელტა“ ნამდვილად ინტერნაციონალური გუნდია. აქ გამოდიან იუგოსლავიელები ჯროვიჩი, გუდელი, რუსები კარპინი და მოსტოვოი, ფრანგი მაკელელე, ბრაზილიელი მაზინიო, ცნობილი ბულგარელი ცენტრფორვარდი პენევი. წინ მიიწევს „დეპორტივო“ (ლა-კორუნია), ბასკთა კლუბი „რეალ-სოსიედადი“.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას მადრიდის „რეალზეც“. ახალმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა შეძლო გუნდის სათამაშო ტონუს ის რამდენადმე ამაღლება. უელსელი სპეციალისტის აზრით, მის გუნდს უპირატესობა ჰქონდა კიევშიც, სადაც იგი აშკარად მსაჯმა დაჩაგრა, რაც ტოშაკის სიტყვით, მეტ-ნაკლებად თამაშის დაწყებიდან „30“ წამის შემდეგ. მაგრამ, რაც იყო, იყო, — ამბობს ტოშაკი, — ახლა მთავარია ესპანეთის ჩემპიონატში მდგომარეობის გაუმჯობესება. ბოლოს და ბოლოს, ქულებით განსხვავება ლიდერ „ბარსელონასთან“ არც ისე დიდი და დაუძლეველია.

დიდი ბრძოლა მიმდინარეობს პირველი სნაიპერის წოდებისათვის, რომლის პრეტენდენტებია რივალდო („ბარსელონა“), რაული („რეალი“) და კლაუდიო ლოპესი („ვალენსია“). ვინ ვის გადაასწრებს? რივალდო კონკურენტებისაგან განსხვავებით, შუა ხაზის მოთამაშეა, მაგრამ „ბარსელონაში“ კლუივერტთან ერთად მრთავარი დამკვრელი ძალაა. საინტერესოა, რომ იგი უკმაყოფილოა „ბარსელონას“ ჰოლანდიელი მწვრთნელით და ამას სულაც არ მალავს. როცა ვან გაალი ცდილობს ამა თუ იმ მატჩში ბრაზილიელისათვის შენიშვნის მიცემას, არც რივალდო რჩება ვალში. „ესპანეთში ვერც ერთმა მწვრთნელმა, ვან გაალის ჩათვლით, ვერაფერი მასწავლა. რაც ვიცი, მთელი ეს ცოდნა და გამოცდილება ბრაზილიაში მივიღე და აქაც ისე ვთამაშობ, როგორც ჩემს სამშობლოში. ამ ჩემპიონატში 21 გოლის გატანა მინდა, თუმცა ფრთიდან ამის გაკეთება უფრო ძნელია, ვიდრე ცენტრიდან“.

ახლა რაც შეეხება აუტსაიდერებს. უკანასკნელ ადგილებზე მყოფ 4 გუნდს შორის ხან ერთი გადის ოდნავ წინ და ხან მეორე, მაგრამ საერთო უიმედო მდგომარეობა მაინც არ იცვლება. ეს მჭახჭახა კლუბებია „სალამანკა“ „ტენერიფე“, „ესტრამადურა“ და „ალავესი“. „ალავესი“ ზოგიერთ მატჩს ცუდად არ ატარებს მას შემდეგ, რაც აქ ჩაირიცხა იაპონიიდან დაბრუნებული ცნობილი ვეტერანი, არც ისე დიდი ხნის წინათ ესპანეთის ნაკრების, „ბარსელონასა“ და „ვალენსიას“ სნაიპერი ხულიო სალინასი.

კვირას გამართული 27-ე ტურის შემდეგ „ბარსელონამ“ სტუმრად ანგარიშით 2-0 სძლია „რეალ-სოსიედადს“ და 53 ქულით კვლავ პირველ ადგილზეა.

ახლა გადავხედოთ უახლოეს საინტერესო შეხვედრებს. 4 აპრილს, 28-ე ტურში „ბარსელონა“ შინ ეთამაშება „ოვიედოს“, მადრიდის „რეალს“ შინ არ უნდა გაუჭირდეს „ალავესთან“, „მალიორკა“ სტუმრად ითამაშებს არც ისე სუსტ „ვილიარეალთან“, „სელტა“ ასევე სტუმრად ხვდება აუტსაიდერ „ესტრემადურას“, „დეპორტივოს“ (ლა-კორუნა) შინ მძიმე მატჩი ელის მადრიდის „ატლეტიკოსთან“, რომელიც, მართალია, ახლა სატურნის — ცხრილის შუაგულშია, მაგრამ ბრძოლაზე ხელი ჯერ არ აუღია. „ვალენსიას“ გასვლითი მატჩი აქვს სანტანდერის „რასინგთან“, რომელსაც, ყოველ შემთხვევაში, პირველი დივიზიონის დატოვება არ ემუქრება.

ბივი თორელი

„ბარსელონა“ – „ვალენსია“. ლოპესის (მარჯვნივ) და კატალონიელების კაპიტნის გვარდიოლას ბრძოლა ბურთისათვის

„სანამ შესაძლებელია, უნდა ვიბრძოლოთ“

ასეთი წარმატებული სეზონი რუს ნახევარმცველ ვალერი კარპინს არასოდეს ჰქონია. მისი კლუბი ვიგოს „სელტა“ ბრწყინვალედ თამაშობს ესპანეთის ჩემპიონატში, თვით კარპინი კი კვლავ მიიწვიეს რუსეთის ეროვნულ ნაკრებში.

● *ნაკრებში საიმედო ცვლილებები მოხდა. ახლა, ეტყობა, უკვე შეიძლება თამაშზე სრული კონცენტრაცია.*

— ახლა ძნელია რაიმეს კონკრეტულად თქმა. ცვლილებები კი მოხდა, მაგრამ ამის შემდეგ ერთი მატჩიც არ ჩაგვიტარებია. ეტყობა, აურზაური დამთავრდა, ახლა ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ და სხვა გარეშე ამბებს თავი დავანებოთ. ანდორასთან და სომხეთთან შეხვედრები ყველაფერს გვიჩვენებს.

● *მოუთმენლად ელით კავკასიურ ტურნეს?*

— რა თქმა უნდა, მინდა კვლავ ვითამაშო ნაკრებში.

● *თქვენ გამოცდილი მოთამაშე ხართ, ესპანეთის ერთ-ერთ წამყვან კლუბში გამოდიხართ. მიგაჩნიათ თუ არა თავი ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად, შესაძლოა ლიდერადაც კი?*

— როგორ შემიძლია თავი ლიდერად ვიგრძნო, როცა ისიც კი არ ვიცი, მოვხვდები თუ არა ძირითად შემადგენლობაში. ნაკრების შემადგენლობა ხომ ჯერჯერობით საბოლოოდ არ არის დადგენილი, არც ერთმა მოთამაშემ არ იცის, რა ბედი ელის. ისე კი, ძალიან მინდა ვითამაშო და რაიმე არსებითს მივაღწიო.

● *დიახ, მაგრამ რუსეთის ნაკრებს ხომ პრაქტიკულად უკვე აღარა აქვს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ნაწილში მოხვედრის შესაძლებლობა?*

— ვფიქრობ, რომ სანამ, თუნდაც მცირედი შესაძლებლობები გვაქვს, უნდა ვიბრძოლოთ. ჩვენ შეგვიძლია დარჩენილ 7 მატჩში გამარჯვება, თუმცა ამის გაკეთება მეტისმეტად ძნელი იქნება.

● *ამ შემთხვევაში ვის შეუძლია დაგითმოთ გზა: საფრანგეთს თუ უკრაინას?*

— აქ ბევრი რამ იმაზეც იქნება დამოკიდებული, როგორ ითამაშებენ ისინი ერთმანეთში. თუმცა, მსოფლიო ჩემპიონები უფრო ძლიერები არიან.

● *თუკი რუსეთის ნაკრები მაინც ვერ მოახერხებს ევროპის ჩემპიონატის ფინალში გასვლას, მაშინ თქვენი უკანასკნელი იმედი მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატი იქნება. მაგრამ 2002 წელს ხომ თქვენ უკვე 33 წლისა იქნებით. ეს განაპირა ნახევარმცველისათვის ძალზე სერიოზული ასაკია.*

— რა შუაშია აქ ასაკი! მთავარი ის არის, როგორ გრძნობს თავს ფეხბურთელი. მე თავს მშვენივრად ვგრძნობ და წლები ხელს არ მიშლის. ნაკრების მწვრთნელებს შეუძლიათ ჩემი იმედი ჰქონდეთ.

● *რას იტყვით „სელტას“ გუნდშიმატკივრების შესახებ?*

— ფეხბურთი ესპანეთში მეტისმეტად პოპულარულია. ამიტომ გუნდშიმატკივრები მეტად აქტუალურად იქცევიან, მოთამაშეებს უყურადღებოდ არ სტოვებენ. ეს რუსეთი კი არ არის, სადაც არავინ გიცნობს. გამოჩნდები თუ არა ხალხმრავალ ადგილას, მაშინვე შემოგეხვევიან ავტოგრაფების მოყვარულები.

„თასი მაგათი იყოს, ჩვენ პირველობისათვის ვიბრძოლებთ“

მას შემდეგ, რაც „ჩელსი“ ინგლისის თასზე „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დამარცხდა (0-2) და გათამაშებას გამოეთიშა, ამ გარემოებას ლონდონელთა მოთამაშე მწვრთნელ ჭანლუკა ვიალის დიდი იმედგაცრუება არ გამოუწვევია.

— ჩვენ ახლა მთლიანად თასების მფლობელთა თასზე მოვახდენთ კონცენტრაციას. ამასთან, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ ჩვენგან განსხვავებით ინგლისის თასზე ბრძოლითაც იქნებიან დაკავებული, ეს ჩვენ პირველობისათვის ბრძოლას გაგვიადვილებს.

კლუბის თილისმა

რუსეთის უმაღლეს დივიზიონში მოახპარეზე „ლოკომოტივი“ (ნიჟნი ნოვგოროდი) თავის თილისმად თვლის ხეიბარ კაცს, რომელსაც გლები ჰქვია. იგი მართლაცდა დიდი გულშემატკივარი ინვალიდის ეტლით მოძრაობს და თითქმის ყოველთვის ესწრება თამაშებს. მას სწამს თავისი კლუბის ძალისა და ფეხბურთელებიც დარწმუნებულნი არიან, რომ თილისმას მათთვის წარმატება მოაქვს.

რონენ ხარაზი ბევრს მოსწონს

ახლა არაერთი ექსპერტი ძალიან აქებს ისრაელის ნაკრებისა და ხაიფის „მაკაბის“ თავდამსხმელ რონენ ხარაზის. როგორც ისრაელის ნაკრების მთავარი მწვრთნელი შლომო შარფი ფიქრობს, ასეთი ძლიერი ფორვარდი მის გუნდს უკვე მრავალი წელია არა ჰყოლია. მან ნაკრებში ჩატარებულ 52 მატჩში 23 გოლი გაიტანა და ახლა საზღვარგარეთის კლუბების დაინტერესება გამოიწვია.

უეფას კომისია შეამოწმებს

უნგრეთის სპორტის მინისტრმა დეიჩმა თანამდებობიდან გაათავისუფლა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი კოვაჩი. მიზეზი? — დიდი ფინანსური დარღვევები.

უეფას ძალიან არ მოსწონს სახელმწიფო სტრუქტურების ფეხბურთის საქმეებში ჩარევა. ამიტომ იგი გამოეხმაურა კოვაჩის საპროტესტო წერილს და უნგრეთში სპეციალური კომისიის გაგზავნას აპირებს, რომელიც თვით შეამოწმებს ფედერაციის ფინანსურ საქმეებს.

თქმა არ უნდა, ძველი „ბარსელონა“ სჯობდა!

ეს საკითხი „ნოუ კამპის“ სტადიონზე ამას წინათ ჩატარებულმა ამხანაგურმა შეხვედრამ აღძრა. მართალია, ახლანდელმა კლუბმა სძლია კრუიფის დროინდელ „ბარსელონას“, რომელიც ოთხჯერ იყო ესპანეთის ჩემპიონი, 1992 წელს ჩემპიონთა თასიც მოიპოვა, მაგრამ...

ვან გაალს ახლაც მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს, თუნდაც ევროპულ ტურნირებში მარცხის გამო. იოჰან კრუიფი კი იქვე „ნოუ კამპის“ სტადიონის სიახლოვეს ცხოვრობს და, როგორც ჩანს, ჭალაჭის დატოვებას არ აპირებს.

ლენარტ იუპანსონი: აი, რა გააკეთა ერთმა მილიონმა დოლარმა!

უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა, რომელმაც ფიფას პრეზიდენტის სავარძლისათვის ბრძოლა წააგო ზეპ ბლატერთან, ამ დღეებში საინტერესო მამხილებელი მასალები გამოაქვეყნა. მან განაცხადა, რომ კენჭისყრის წინ 20 აფრიკული ფედერაციის წარმომადგენლის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა, სიტყვიერი მოლაპარაკებაც შედგა, მაგრამ რომელიღაც მსხვილმა ბიზნესმენმა, რომელიც შვედის წინააღმდეგ იყო განწყობილი, მათ ერთი მილიონი დოლარი გაუნაწილა და მდგომარეობაც ზეპ ბლატერის სასარგებლოდ შეიცვალა.

„აშშ-ს თასზე“

ახე ჰქვია საერთაშორისო ტურნირს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად ტარდება. ამჯერად მასში მახპინძლების გარდა, მექსიკის, ბოლივიისა და გვატემალის ნაკრებები მონაწილეობდნენ.

პირველ ნახევარფინალში, რომელიც ლოს-ანჯელესში ჩატარდა 35 ათასი მაყურებლის დასწრებით, აშშ-ის ნაკრებმა ანგარიშით 3-1 გვატემალელები დაამარცხა. ამავე სტადიონზე მექსიკელებმა ანგარიშით 2-1 ბოლივიელებს მოუგეს.

მატჩში მესამე ადგილისათვის სანდიეგოში გვატემალელებმა დაამარცხეს ბოლივიელები — 2-1.

ფინალში მექსიკელებმა ანგარიშით 2-1 მოუგეს ამერიკელებს და ზედიზედ მესამედ მოიპოვეს პირველი ადგილი.

პროფესიული კრივის სამყაროში

და კვლავ, პოლიფილდი – ლიუისი

რა თქმა უნდა, ამ უპრეცედენტო მოკრივეების ამასწინანდელმა შეხვედრამ, რომელიც ფრედ დასრულდა, პასუხი ვერ გასცა და ღიად დატოვა კითხვა — ვინ — ვის (?!). სხვათა შორის, ეს გამოჩენილი მოკრივეები ჯერ კიდევ შარშან, 25 აპრილს უნდა შეხვედროდნენ რინგზე ერთმანეთს და გაერკვიათ ურთიერთობა, რომელიც მოსვენებას არ აძლევს კრივის მოყვარულებს მთელ მსოფლიოში. მაინც რამ ააფორიაქა ისინი? საქმე ისაა, რომ ვბა-სა და იბფ-ს ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონ ევანდერ ჰოლიფილდს „ერთიან ჩემპიონობამდე", რომელიც დღეუფლებოდა სამივე პრესტიჟულ ვერსიებით ოქროს ქამრებს, რაც 1992 წელს რიდიკ ბოუმ, ხოლო მანამდე კი მაიკ ტაისონმა შეძლეს, აკლია ვბს-ს (მსოფლიო მოკრივეთა საბჭოს) ვერსიით ჩემპიონობის მოპოვება. ამაში განხეთქილება მოახდინა ტელევიზიამ. ჰოლიფილდის გუნდი ნიუ-იორკში ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ არ დათანხმდა ტელეკომპანია ეიჩ-ბი-ოუს შემოთავაზებულ ჰონორარის თანხას. ამერიკელი ითხოვდა არანაკლებ 20 მილიონ დოლარს (ამდენი მიიღო მან თანამემამულე მაიკლ მურერთან ვბფ-ს ვერსიით საჩემპიონო ბრძოლაში) ტელევიზიის მესვეურებმა, რომელთაც ათი მილიონი ლიუისისთვისაც უნდა გადაეხადათ, ასეთი თანხა აშკარად გაზვიადებულად მიიჩნიეს. მოლაპარაკება ჩიხში მოექცა.

როცა გაირკვა, რომ სუპერმატჩი ჩაიშალა, ლიუისის გუნდს დრო უქმად არ დაუკარგავს და მონახა ახალი მეტოქე შენონ ბრიგზი. მას თავიანთი მოკრივე 28 მარტს ატლატიკ-სიტიში უნდა შეხვედროდა ვბფ-ს ვერსიით ჩემპიონობის დასაცავად.

ჰოლიფილდს კი უნდა შეხვედროდა სხვა ინგლისელი ჰენრი აკინანდა, რომელიც შეეცადა ლიუისისათვის ჩამოერთმია ტიტული, მაგრამ მასთან შეხვედრაში კი არ იბრძოდა, არამედ მეტოქეზე ეკიდა, რისთვისაც დისკვალიფიკაცია მიიღო.

მაიკ ტაისონი, და, რა თქმა უნდა, ყველა დარწმუნებულია, რომ ჰოლიფილდ-ლიუისის მატჩის ჩაშლაში გაჭნილი პრომოუტერის დონ კინგის ხელი ერია, რომ ზეშემოსავლიან ჰოლიფილდ-ტაისონის ორთაბრძოლაზე მეთბო ხელი. მაგრამ, როგორც ვიცით არ გამოუვიდა. ახლა კრივის სამყარო, პირველ ყოვლისა, კრივის სამივე საერთაშორისო ფედერაცია ჰოლიფილდ-ლიუისის განმეორებითი მატჩის მოლოდინშია.



ყველაფერი ისევ დონ კინგის უნარზეა დამოკიდებული

ევანდერ ჰოლიფილდი და ლენოქს ლუისი შეთანხმდნენ სექტემბერში ხელახალი ბრძოლის გამართვის თაობაზე. ცნობილი პრომოუტერი დონ კინგი კი ერთ გაწამაწიაშია – მან ზუსტი თარიღის დადგენისათვის უნდა იმუშაოს, სწორად რომ ვთქვათ, მან ყველაზე უფრო ოპტიმალური თარიღი რაა გამოკვეთილი: სამხრეთ აფრიკა (ქალაქი კინგს არ დაუკონკრეტებია), ლას-ვეგასი, ნიუ-იორკი და ლონდონი. რაც შეეხება საპრიზო ფონდის განაწილებას, ჯერ ესეც არ გარკვეულა. წინა მატჩში კი თანხა პარიტეტული პრინციპით განაწილდა – ორივე მოკრივემ ხუთ-ხუთი მილიონი დოლარი მიიღო.

დონ კინგის თქმით, ჰოლიფილდი ლუისისგან განსხვავებით, ცოტათი ყოყმანობდა ხელახალ ბრძოლაში მონაწილეობაზე და თანხმობა მხოლოდ შაბათს, 20 მარტს განაცხადა. ექსპერტების აზრით, ხელახალი ბრძოლის კომერციული ასპექტის მოგვარება უფრო რთული იქნება, ვიდრე ეს 13 მარტის ბრძოლისთვის იყო მედისონ სკვერ გარდენში. მაგრამ ისეთ გაქნილ პრომოუტერს, როგორიც დონ კინგია, ხომ ყველაფერი ხელეწიფება. მას განსაკუთრებით ბუკმეკერული ბიზნესი აღელვებს, რადგან მატჩის ფრედ დამთავრების პრეცედენტი სერიოზულად მოქმედებს ფსონების რაოდენობაზე და სიდიდეზე.

მედისონ სკვერ გარდენს 13 მარტის ბრძოლის ჩატარება 8,5 მილიონი დოლარი დაუჯდა, მაგრამ ბილეთების რეალიზაციიდან 11 მილიონი დოლარი შეუვიდა ხაზინაში. ახლა მეტად საეჭვოა, რომ ლას-ვეგასის რომელიმე კაზინომ ამდენი ფული გადაიხადოს ხელახალი მატჩის ჩატარებისათვის.

მოკლედ, განმეორებით ბრძოლამდე 5 თვე კი დარჩა, მაგრამ დონ კინგი ერთ გაწამაწიაშია. მის პრაქტიკაში ეს ყველაზე რთული გამოცდა იქნება.

მოამზადა
დათო თავართქილაძემ



ლუისს ეგონა, რომ გამარჯვება მას დარჩა, მაგრამ...

უნდა შეარჩიოს. აგრეთვე ჯერ დაუდგენელია თუ სად გაიმართება ხელახალი ბრძოლა.

ინფორმაცია ამ მძიმეწონოსნების კვლავ შერკინების შესახებ გუშინ მოსდო მთელ ქვეყანას დონ კინგმა. მისი თქმით, მოკრივეები მატჩის საგარანტიო თანხად 15 მილიონ დოლარს ითხოვენ. ბრძოლის ჩატარების მასპინძლობისთვის ჯერჯერობით ოთხი კანდიდატურაა გამოკვეთილი: სამხრეთ აფრიკა (ქალაქი კინგს არ დაუკონკრეტებია), ლას-ვეგასი, ნიუ-იორკი და ლონდონი. რაც შეეხება საპრიზო ფონდის განაწილებას, ჯერ ესეც არ გარკვეულა. წინა მატჩში კი თანხა პარიტეტული პრინციპით განაწილდა – ორივე მოკრივემ ხუთ-ხუთი მილიონი დოლარი მიიღო.

მსოფლიო ჩემპიონობა... ორი თვით?

წლების განმავლობაში მკაცრი გრაფიკით მიმდინარეობდა ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშება. გვირგვინოსანს თავისი წოდება სამ წელიწადში ერთხელ უნდა დაეცვა. 1962 წლიდან მოყოლებული, თითქმის 30 წლის მანძილზე, საჭადრაკო სამყაროში „პირველ ვიოლინოს" ქართველი ქალები ასრულებდნენ. რაკი ამ ქვეყნად არაფერია მუდმივი, ეს ჰეგემონიაც, როდესმე ხომ უნდა დასრულებულიყო... ისე კი, დასრულდა მოულოდნელად და კურიოზულად. 1991 წელს მაია ჩიბურდანიძემ წააგო სრულიად ახალგაზრდა ჩინელ სიუ ჟუნთან. ეს დამარცხება კურიოზული თუნდაც იმიტომ იყო, რომ მისი გვარიანად ახსნა დღემდე ვერავინ მოახერხა. მარტო ის რად ღირს, რომ იმ დროიდან მოყოლებული, მაია, სადაც კი წააწყდება, ყველგან უგებს ჩინელ ჩემპიონს. მაიას ყველა ახალი მოგება სიუ ჟუნთან მე პირადად ძალიან მაღელვებს და იმასაც კი მაფიქრებინებს, რომ... ჭადრაკი მთლად ლოგიკური თამაში არ უნდა იყოს!

ახლა უკვე სიუ ჟუნს უნდა ეფიქრა თავისი წოდების დაცვაზე. ერთხელ დაიცვა კიდეც – ნანა იოსელიანთან ბრძოლაში. აი, მეორედ კი ვეღარ გადალახა „ჯებირი", რომელსაც ჟუჟა პოლგარი ჰქვია. 1996 წელს მათი მატჩი უნგრელის მეტად დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. ახლა, მომდევნო წლებში ბუნებრივია, ჟუჟას უნდა ეზრუნა გვირგვინის შესანარჩუნებლად, მაგრამ არ იზრუნა! იგი გათხოვდა, ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა და სამი წლის განმავლობაში ერთი სატურნირო პარტიაც არ უთამაშია. თავიდან მომომხილველებს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. 1996 წელს, ვთქვათ, ისვენებდა და თავისი ტრიუმფით ტკბებოდა, 1997 წელს, დავუშვათ, პრეტენდენტის გამოვლენას ელოდა. ხომ უნდა გაეგო 1998 წელს ვისთან მოუხდებოდა შეხვედრა?

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ პრეტენდენტის გამოვლენაც სათავგადასავლო რომანს დაემსგავსა საკმაოდ უსიამოვნო შედეგებით!

პრეტენდენტთა ორწრიან მატჩ-ტურნირში ქართველი მოჭადრაკეების მარცხი არა გვაქვს მხედველობაში. ბრძოლა მხოლოდ დაფასთან კი არა, კულისებშიც მიმდინარეობს. ამასთან, ხშირად კარგად ვერკვევით, რა ხდება დაფასთან, აი „საკულისო მანევრებში" კი ბევრი რამ არ გვესმის. თუმცა, სჯობს, უფრო გასაგებად ვილაპარაკოთ.

საქმე ის არის, რომ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში 1997 წლის დეკემბერში პირველ ადგილზე ყაზანელი ალისა გალიამოვა გავიდა, მეორეზე კი – სიუ ჟუნი. ახლა მათ, არსებული წესების თანახმად, ერთმანეთთან დამატებითი მატჩი უნდა ეთამაშათ, გამარჯვებული კი 1998 წლის შემოდგომაზე მსოფლიო ჩემპიონ ჟუჟა პოლგარს უნდა შეხვედროდა.

მოლაპარაკება გალიამოვა – სიუ ჟუნის მატჩის შესახებ რამდენიმე თვე მიმდინარეობდა და ხან კომიკურ ფორმებს იღებდა, ხან ფარსს უფრო ჰგავდა, ბოლოს კი, ტრაგიკულად დამთავრდა. იგი არ გაიმართა და გალიამოვას წაგება ჩაეთვალა! აქ გარკვევა ძალიან ძნელია. რუსეთის საჭადრაკო ფედერაცია ამ სავალალო შედეგში თათრეთის ფედერაციას ადანაშაულებს (თათრეთიც ხომ რუსეთია) და პირიქით. ხან ერთი უჩივოდა უფულობას და ხან მეორე, გალიამოვა კი ორივეს ამტყუნებდა, თუმცა მისი სიჯიუტეც ხომ ფაქტია: როცა ყველა სხვა შესაძლებლობა ამოიწურა, მან არ მოისურვა ჩინეთში გამგზავრება.

ჭადრაკის ისტორიას ბევრი რამ ახსოვს, მაგრამ პრეტენდენტი რომ თამაშზე არ გამოცხადდეს და წაგება ჩაეთვალოს?!

ასე იყო თუ ისე, მსოფლიო ჩემპიონობის ერთადერთ პრეტენდენტად და ჟუჟა პოლგარის მეტოქედ სიუ ჟუნი გამოცხადდა, მაგრამ ამით ეს „შეშლილი" საჭადრაკო სეზონი არ დამთავრებულა.

მთელი წლის განმავლობაში ვრცელდებოდა ხმები, ამერიკაში გადასულმა ჟუჟა პოლგარმა ლეგენდარულ ამერიკელ ბობი ფიშერს მიბაძა და მსოფლიო ჩემპიონობის დაცვას აღარ აპირებსო. რა უნდა ექნა ფიდეს, მართლაც ასე რომ მომხდარიყო? მსოფლიო ჩემპიონად სიუ ჟუნის უბრძოლველად გამოცხადება, ცოტა არ იყოს, უხერხული იქნებოდა. თათრეთის საჭადრაკო ფედერაციის აზრით, ურიგო არ იქნებოდა, სიუ ჟუნთან ერთობ გაანაწყენებული ალისა გალიამოვა შეეხვედრებინათ (ადრე რომ წაგება ჩაუთვალეს), ამჯერად უკვე პრეტენდენტთა ასპარეზობაში კი არა, არამედ მსოფლიო პირველობაზე (კურიოზია, აბა რა არის!)... ამასობაში უნგრეთის საჭადრაკო ფედერაციამ ფიდეს ასეთი წინადადებით მიმართა: თუ ჟუჟა თამაშზე საბოლოოდ უარს იტყოდა, იგი უმცროსი დით, იუდით პოლგარით შეეცვალათ. ეს კი იმაზე მეტყველებდა, რომ ხმები ჟუჟას გადადგომის შესახებ მოლად უსაფუძვლო არ იყო.

და მაინც, ამდენი ხნის ყოყმანის შემდეგ ჟუჟა პოლგარმა განაცხადა, რომ თანახმაა დაიცვას მსოფლიო ჩემპიონის წოდება. მოლაპარაკება მოლაპარაკებას მიჰყვებოდა და ბოლოს ფიდემ

პოლგარ – სიუ ჟუნის მტჩი მაისის ბოლო რიცხვებისათვის დანიშნა.

რა არის მოსალოდნელი ამ ორთაბრძოლაში? ისე რომ, პოლგარმა 1996 წელს ასეთი მძიმე მარცხი აგუმა სიუ ჟუნს, ამჟამად ბევრს არაფერს ნიშნავს, პირიქით, სამწლიან პაუზას ჟუჟა, შეიძლება ვერც გადაურჩეს. ბევრი კომენტატორი ახლა კატეგორიულად ამტკიცებს, რომ ასეთ პირობებში ჩინელმა უნდა დაიბრუნოს თავისი წოდება.

ახლა კი სულ სხვა საკითხზე მოგვიხდება საუბარი. ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა, ამდენ გართულებას რომ არ ელოდა, 1997 წლიდან მთლიანად შეცვალა მსოფლიო პირველობის ჩატარების დებულება. ახლა უკვე მატჩის ნაცვლად უნდა გაიმართოს ტურნირი 64 მოჭადრაკის მონაწილეობით, ოლიმპიური, ანუ, როგორც ახლა ამბობენ, ნოკაუტ-სისტემით. ეს შეჯიბრება სექტემბერში კიშინიოვში უნდა მოეწყოს და მისი მონაწილეების უმრავლესობა უკვე ცნობილია. ჩვენ იმედით მოველით ამ ახალ მსოფლიო პირველობას. იქ პერსონალურად მიწვეული არიან მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, ქეთევან არახამია, ნინო გურიელი. 7 მაისიდან თბილისში დაინიშნა კიდევ ერთი შესარჩევი ტურნირი, 7 გამარჯვებული ასევე გაემგზავრება კიშინოვში. მათ შორის, ვფიქრობთ, რამდენიმე ადგილი საქართველოს წარმომადგენლებს დარჩებათ.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ეს ორი მსოფლიო პირველობა, ერთი ძველი და ერთი ახალი სისტემით, რომ ერთმანეთს „ეჯახება"! დიახ, ვადები აშკარად ემთხვევა ერთმანეთს. თუ ჟუჟა პოლგარმა, ვთქვათ (განებავთ, სიუ ჟუნმაც) ივლისში გაიმარჯვა, ხომ შეიძლება წოდება სექტემბერში დაკარგოს? არადა, ორი თვით (პირობითად ვამბობ) მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება ხომ პირდაპირ აბსურდული რამ იქნებოდა.

ერთი სიტყვით, ასე იქნება, თუ ისე, გამოსავალი მოიძებნება. ჩვენ კი იმ შეჯიბრებას დაველოდოთ, რომელმაც შეიძლება მსოფლიო ჩემპიონობა დაგვიბრუნოს...

ბივი გამრეკელი

დაფაზე დაუხედავად, სწრაფადაც...

მონტე-კარლოში (მონაკო) გრძელდება ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 150 ათასი დოლარია. მეტოქეები ორ-ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს: ერთ პარტიაში დაფაზე დაუხედავად, მეორეში კი თამაშობენ 30-წუთიან სწრაფ ჰადრაფს.

შეჯიბრების შემადგენლობა მეტად ძლიერია. მსოფლიო ჩემპიონი ფიდეს ვერსიით ანატოლი კარპოვი (რუსეთი), მსოფლიოში მეორე რეიტინგის მჭონე ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), მესამე რეიტინგის მჭონე ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი), გამოჩენილი დიდოსტატები ალეჭსეი შიროვი (ესპანეთი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), ბორის გელფანდი (ისრაელი), ჟიულ ლოტიე (საფრანგეთი), პრედრაგ ნიკოლიჩი (ბოსნია), ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), იერუნ პიკეტი და ლიუკ ვან ველი (ორივე – ჰოლანდია).

3-3 ქულით წინ არიან 47 წლის კარპოვი, რომელმაც ჯერ ორივე პარტია მოუგო გელფანდს, შემდეგ კი ორი პარტია დაასრულა ყაიმით ივანჩუკთან, აგრეთვე კრამნიკი და ლოტიე. სხვა შეხვედრებიდან უნდა აღინიშნოს ანანდის მოგება (1,5:0,5) შიროვთან.

ახალი რეიტინგ-ლისტი

ინდიან უელსის (აშშ) საერთაშორისო ტურნირმა მსოფლიოს წამყვანი ჩოგბურთელების რეიტინგ-ლისტში საგრძნობი ცვლილებები შეიტანა. ვნახოთ, როგორ გამოიყურება იგი დღეისათვის:

ვაჟები: 1. კარლოს მოია (ესპანეთი) – 3484. 2. პიტ სამპრასი (აშშ) – 3447. 3. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) – 3382. 4. ალექს კორეტჯა (ესპანეთი) – 3250. 5. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) – 3115. 6. ტიმ ჰენმანი (ინგლისი) – 2826. 7. რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) – 2677. 8. მარსელო რიოსი (ჩილე) – 2434. 9. ანდრე აგასი (აშშ) – 2376. 10. ტოდ მარტინი (აშშ) – 2300. 11. მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) – 2264. 12. კაროლ კუჩერა (სლოვაკია) – 2238. 13. გრეგ რუსედსკი (ინგლისი) – 2145. 14. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) – 1946. 15. თომას ენქვისტი (შვეცია) – 1818. 16. ალბერტო კორტა (ესპანეთი) – 1809. 17. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) – 1697. 18. თომას იუპჰანსონი (შვეცია) – 1614. 19. ტომი ჰაასი (გერმანია) – 1600. 20. ფელიქს მანტილა (ესპანეთი) – 1589.

ქალები: 1. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) – 5449. 2. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) – 5309. 3. მონიკა სელეში (აშშ) – 3882. 4. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) – 3755. 5. არანტა სანჩეს ვიკარიო (ესპანეთი) – 3067. 6. ვენუს უილიამსი (აშშ) – 2987. 7. შტეფი გრაფი (გერმანია) – 2920. 8. მერი პირსი (საფრანგეთი) – 2336. 9. ამანდა კეტცერი (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) – 2120. 10. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) – 2109. 11. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) – 2006. 12. პატი შნაიდერი (შვეიცარია) – 1967. 13. ანა კურნიკოვა (რუსეთი) – 1892. 14. ამელია მორესმო (საფრანგეთი) – 1861. 15. ირინა სპისლია (რუმინეთი) – 1828. 16. სერენა უილიამსი (აშშ) – 1816. 17. დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) – 1816. 18. კონჩიტა მასტინესი (ესპანეთი) – 1672. 19. ნატალია ზვერევა (ბელარუსი) – 1588. 20. ბარბარა მეტი (ავსტრია) – 1480.

მოია თუ სამპრასი

კი-ბისკეინის დიდ საჩოგბურთო საერთაშორისო ტურნირში მსოფლიოს ყოფილი №1 მოთამაშე პიტ სამპრასი ცდილობს კვლავ დაიბრუნოს თავისი წამყვანი პოზიცია და შეავიწროოს კარლოს მოია. ჯერჯერობით ერთი ლიდერიც იგებს და მეორეც, მაგრამ შეჯიბრებას უკვე გამოეთიშნენ ანდრე აგასი, პატრიკ რაფტერი, ჯიმი კურიე.

ევგენი კაფელნიკოვი მეორე წრემდე დამარცხდა, აი მარატ საფინმა კი ჯერ ბორის ბეკერს მოუგო, კვირას კი მარკ ფილიპუსისაც.

უცხოეთის სააგენტოები იტყობინებიან

● **ბუნდესლიგის** სახალი რეკორდი დაამყარა „ბაიერნის“ საფეხბურთო კლუბის მეკარემ ოლივერ კანმა. მან ზედიზედ 723 წუთი ანუ 12 საათი და 5 წუთი ისე გაატარა, რომ ოფიციალურ მატჩებში გოლი არ გაუშვია. ადრინდელი რეკორდი ეკუთვნოდა „ვერდერის“ ყოფილ მეკარეს ოლივერ რეკს (641 წ.). ეს მოხდა 1987-88 წლებში.

● **საკვალიფიკაციო** რბოლაში კარტის სერიით, ორი უმძიმესი ავარია დაფიქსირდა. ერთი განიცადა ბრაზილიელმა უილ დე ფერანმა, მეორე — იაპონელმა ახალბედამ შიგეაკი პატორიმ. ორივე ავარიის შემდეგ მრბოლელები თავისით გადმოვიდნენ მანქანიდან, ბრაზილიელი საერთოდ არ დაშავებულა, იაპონელმა კი ტვინის შერყევა მიიღო.

● **სკანდალს,** რომელიც მთელ ოლიმპიურ მოძრაობას მოედო, პრინცესა ანაც გამოეხმაურა. მისი აზრით, საერთაშორისო სპორტული ფედერაციების პრეზიდენტები არ უნდა შედიოდნენ სოკოს შემადგენლობაში. მან როგორც სოკოს წევრმა შესაბამისი წერილები დაუგზავნა კოლეგებს, სადაც იმას აღნიშნავს, რომ ოლიმპიური თამაშები აჯობებს გაიმართოს გეოგრაფიული როტაციის პრინციპით და სოკოს წევრებმა თავი უნდა შეიკავონ კანდიდატ ქალაქებში ხშირი ვიზიტებით.

● **ჰოლიფილდ-ლიუისი** სორთაბრძოლის შემდეგ კრივის გუშემატკივარი თავს გაწბილებულად და მოტყუებულად გრძნობს და ბევრმა ადვოკატებსაც კი მიმართა იმის თაობაზე თუ როგორ დაიბრუნოს თაღლითურად გამოძალული ფული. ლაპარაკია, არა მხოლოდ უშუალოდ მატჩის ბილეთის ღირებულებაზე, არამედ იმ ხარჯებზეც, რაც ბევრმა გაიღო სხვა ქვეყნიდან ჩასასვლელად.

„ჯოჯო-ლოტო“ – მილიონთა თამაში!

21 მარტს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42“, თანმხლები „სუპერ-7“ ტირაჟის მეთერთმეტე გათამაშებით.

«ლოტო 6-42»-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:

7. 13. 17. 19. 23. 36.

6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 351.90 ლარი.
4 ციფრი – 16.10 ლარი.
3 ციფრი – 1.30 ლარი.

„ჯეკ-პოტი“ 44 292 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.

„სუპერ-7“-ის მომგებიანი ციფრებია: **0. 7. 5. 8. 3. 4. 5.**

შემდეგი ტირაჟი შედგება 28 მარტს, ჯეკ-პოტი **44 292** ლარი.

ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

● **ლისაბონის** მარათონში, როგორც მოსალოდნელი იყო კენიელი სპორტსმენები დომინირებდნენ. ვაყეებში 10 საუკეთესოდან 8 კენიელი იყო. ოქროს მედალიც, რა თქმა უნდა, კენიელ იოპეტ კოსგეიმ მოიპოვა. 22 ათასი მარათონელი მონაწილეობდა გარბენში, რომლის დისტანცია 21,097 კილომეტრი იყო. ეს მანძილი იოპეტ კოსგეიმ საათსა და ერთ წუთში დაფარა — ზუსტად 25 წუთით აჯობა თავის უახლოეს მდევარს, თანამემამულე იოზეფ კიმანის. ბრინჯაოს მედალსაც კენიელი ფილიპ რუგუტი დაეპატრონა.

ქალებშიც კენიელმა მარათონელმა იმარჯვა — მსოფლიოს რეკორდსმენმა ტეგლა ლორუპემ დისტანცია 1 საათსა და 7,52 წამში დაფარა. მეორე იყო პორტუგალიელი ფერნანდა რიბეირო (1:08:44), მესამე კი შვეიცარიელი ფრანცისკა როჩატ-მოზერი (1:10:54).

დავით მაჭარაშვილი

გარდაიცვალა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის ადამიანის ფიზიოლოგიისა და ბიოქიმიის კათედრის დოცენტი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დავით მაჭარაშვილი. 1939 წელს საჩხერის რაიონის სოფელ კორბოულის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, სამშობლოში დაბრუნდა მხოლოდ 1945 წელს, მიღებული მძიმე ჭრილობებით.

1946 წელს სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფიზიოლოგიის განხრით, სადაც 1954 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას.

1955 წლიდან გარდაცვალებამდე მისი სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა მთლიანად დაკავშირებული იყო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიასთან; აქ მუშაობის 45 წლის მანძილზე იგი აქტიურად მონაწილეობდა აკადემიის სასწავლო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. უძღვებოდა სპორტის ფიზიოლოგიის კურსს, შექმნა და გამოაქვეყნა მრავალი ნაშრომი, მათ შორის ორი სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის.

აქტიურ სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად იგი წარმატებით ათავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. სხვადასხვა დროს იყო ფაკულტეტის დეკანი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი, როგორც სპორტის ფიზიოლოგიის წამყვანი სპეციალისტი, მიწვეული იყო კუბის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, სადაც სპორტის ფიზიოლოგიის კურსს ხელმძღვანელობდა, ერთდროულად მოამზადა სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც შემდეგ თავად გაუძღვაამ საგანს.

დავით მაჭარაშვილი სახით ფიზიკური აღზრდის აკადემიამ, სპორტის მეცნიერებამ, მთელმა ქართულმა სპორტულმა საზოგადოებრიობამ დაკარგა თავისი საქმის უერთგულესი სპეციალისტი, რომელიც დიდ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა სტუდენტებსა და კოლეგებში. მისი ნათელი ხსოვნა არასდროს წაიშლება კოლეგების, აღზრდილებისა და ქართული სპორტის მოამაგეთა ხსოვნაში.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია

რა ხდება ჭეშმარიტებაზე

თეთრი ბილიკების მეფე ყველა რაკურსით

სამთომეთხილამურეობაში ვარსკვლავებს რა გამოლევს, რომლებიც პოპულარობით არ ჩამოუვარდებიან ეკრანის ვარსკვლავებს, მაგრამ იტალიელი ალბერტო ტომბა, მეტსახელად ბომბი მაინც სულ სხვაა. მან სამთომეთხილამურეობის ორ დარგში – სლალომსა და სლალომ-გიგანტში უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ტომბას კარიერას ამშვენებს ოლიმპიური ჩემპიონობის სამი ოქროს მედალი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონობა და მსოფლიო თასი, მაგრამ მისი პოპულარობის მიზეზი ღვთისგან მინიჭებული ზნემადალი და ბრძნული თვისებებია, რაც მას ყველა დროის სამთომეთხილამურეებისაგან გამოარჩევს. ამიტომაც ტომბას ფანების ყველაზე დიდი არმია ჰყავს და მისი ცხოვრების ფაქტებს უდიდესი ადგილები ეთმობა გაზეთების, სხვათა შორის, არა მარტო სპორტულის, პირველ გვერდებზე.

ტომბას ცხოვრება საიტის ინტერნეტის ქსელშიც აისახება. ამისათვის საკმარისია გაეცნოთ მის ოფიციალურ საიტს, რომელიც 1996 წლიდან არსებობს WWW.alberto.tomba it-ზე. იგი გაგაცნობთ სპორტსმენის ავტობიოგრაფიას ილუსტრირებულს მისი არქივებიდან ფოტოსურათებით, აგრეთვე კადრებს ფილმებიდან ტომბას მონაწილეობით (მას იღებენ პოლიციურ სერიალში). მალე საიტში გაჩნდება ინფორმაცია ტომბას საგამომცემლო საქმიანობის შესახებაც. ამ სფეროში მის პროექტშია საბავშვო წიგნების გამოცემა, რომელიც მისმა დამ ალესიამ დაწერა...

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



23 მარტი, სამშაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. საფეხბურთო მიმოხილვა (16.15). ***II არხი.*** სუპერმატჩი (21.00). ***ობერა.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***PTP.*** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (2.00). ***HTB плюс футбол.*** ინგლისის ჩემპიონატი. „ასტონ ვილა“ – „ჩელსი“ (14.15, 22.05), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები“. იურგენ კლინსმანი (17.40), გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა (18.00), ესპანეთის საფეხბურთო მიმოხილვა (19.15), ბრაზილიის ჩემპიონატი (20.15), ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. „ინტერი“ (იტალია) – „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) – 23.00. ***HTB плюс спорт.*** „ბილიარდის მეფეები“ (23.15). ***ESPN.*** ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი (18.30). მიმოხილვა (21.30). ***EUROSPORT.*** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00, 15.30, 21.30). ფეხბურთი. ევროგოლი (13.00).

24 მარტი, ოთხშაბათი

საქართველოს ტელევიზია. ობერა. ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). ***კავკასია.*** სპორტული გადაცემა (21.00). ***ევრიკა.*** „სტუმარი“ (21.00). ***OPT.*** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (0.55). ***HTB плюс футбол.*** ესპანეთის საფეხბურთო მიმოხილვა (13.15, 17.00), ბრაზილიის ჩემპიონატი (14.15), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (16.05), „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები“ (19.15), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (19.35), უეფა. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი: „კაიზერსლაუტერნი“ (გერმანია) – „ბავარია“ (გერმანია) (20.25), „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) – „იუვენტუსი“ (იტალია) (23.05). ***HTB плюс спорт.*** „ბილიარდის მეფეები“ (14.45). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. (5.00, 15.30). ***EUROSPORT.*** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00, 17.30, 21.00). თხილამურები. ტრამპლინი. მსოფლიო თასი (13.00).

25 მარტი, ხუთშაბათი

საქართველოს ტელევიზია. ობერა. ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები (21.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***ევრიკა.*** „ფეხბურთის ლეგენდები“ (21.30). ***PTP.*** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (2.00). ***TB центр.*** ფეხბურთი დიალოგებში (13.45). ***HTB плюс футбол.*** „მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავები“ (13.15), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (13.35), ჰოლანდიის ჩემპიონატი (19.15), ევროპის საფეხბურთო კვირეული (21.00), შოტლანდიის ჩემპიონატი (23.00). ***ESPN.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (9.00), ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (14.00). ჰოლანდიიდან: „ვიტესე“ – „აიაქსი“ (15.00). ევროპის საფეხბურთო ყოველკვირეულის მიმოხილვა (18.00). ***EUROSPORT.*** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00, 16.00, 21.00).

26 მარტი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. ობერა. ბურთი და მოედანი. (8.55, 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***OPT.*** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (0.25). ***PTP.*** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (1.30). ***HTB плюс футбол.*** ჰოლანდიის ჩემპიონატი (13.15, 19.15). ევროპის საფეხბურთო კვირეული (15.00), შოტლანდიის ჩემპიონატი (17.00, 20.50), ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: პორტუგალია (ნაკრები) – აზერბაიჯანი (ნაკრები) (22.55). ***HTB плюс спорт.*** ჰოკეი. ჩემპიონატი (22.55). ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატის მიმოხილვა (0.00). კალათბურთი. ნბა. (12.30). ფეხბურთი. უეფა. ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (17.30). ***EUROSPORT.*** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (21.00).

27 მარტი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. I არხი. ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი: საქართველო – სლოვენია (19.55). ***II არხი.*** ავტოსპორტი (19.40), ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.35), ***ობერა.*** ბურთი და მოედანი (8.55, 19.25). ***კავკასია.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***ევრიკა.*** „სტუმარი“ (19.45). ***OPT.*** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. (13.35). ***HTB плюс футбол.*** ჰოლანდიის ჩემპიონატი (13.15). შოტლანდიის ჩემპიონატი (14.50), ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: პორტუგალია (ნაკრები) – აზერბაიჯანი (ნაკრები) – 17.00, იუგოსლავია (ნაკრები) – ხორვატია (ნაკრები) – 20.55, საბერძნეთი (ნაკრები) – ნორვეგია (ნაკრები) – 22.55. ***HTB плюс спорт.*** „დიდი რინგი“ (22.00). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა. (4.30, 5.00, 15.30). ***EUROSPORT.*** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში. საფრანგეთი – უკრაინა (0.00).

28 მარტი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. I არხი. რაგბი. მსოფლიო თასის შესარჩევი მატჩი: საქართველო – ტონგა (15.55). ***II არხი.*** სუპერმატჩი (20.10). ***რუსთავი-2.*** სპორტული პროგრამა (20.30). ***ობერა.*** ბურთი და მოედანი (8.55). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები“ (21.00). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***ევრიკა.*** კვირის სპორტი (17.00). ***OPT.*** ფიგურული ციგურაობა. მსოფლიო ჩემპიონატი, საჩვენებელი გამოსვლები (18.00). ***HTB плюс футбол.*** ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: იუგოსლავია (ნაკრები) – ხორვატია (ნაკრები) – (13.45), საბერძნეთი (ნაკრები) – ნორვეგია (ნაკრები) – (15.30), ჩეხეთი (ნაკრები) – ლიტვა (ნაკრები) – (17.15), ბელორუსია (ნაკრები) – შვეიცარია (ნაკრები) (19.15), შოტლანდია (ნაკრები) – ბოსნია (ნაკრები) (21.00). საქართველო (ნაკრები) – სლოვენია (ნაკრები) (23.40). ***HTB плюс спорт.*** სპორტული ტანვარჯიში. „გრან-პრი“ (16.55). ***ESPN.*** ფეხბურთი. ლათინური ამერიკის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (1.00). კალათბურთი. ნბა. (18.00). ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები: აზერბაიჯანი (ნაკრები) – პორტუგალია (ნაკრები) (4.00), ბოსნია (ნაკრები) – შოტლანდია (ნაკრები) (6.00), გერმანია (ნაკრები) – ჩრდ. ირლანდია (ნაკრები) (14.00), სლოვენია (ნაკრები) – რუმინეთი (ნაკრები) – (21.30). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მიმოხილვა (0.00).



თარაზულად: 1. ცნობილი ირანელი ვეტერანი ფალავანი, 5. მძლეოსნური ინვენტარი, 7. ლეგენდარული ირანელი მოჭიდავე, წარსულში, 9. შვედი ჩოგბურთელი ვაჟი *(ფოტო)*, 10. ლეგენდარული მოკრივე, 11. რუსი ჩოგბურთელი ქალი *(ფოტო)*, 12. ცურვის ყიდა, ანუ... 13. პარაგვაელი ფეხბურთელი, მეკარე *(ფოტო)*, 14. მოსკოვის „სპარტაკის“ ყოფილი ცნობილი ფეხბურთელი, 18. იღეთი აკრობატიკაში, 20. ქართველი მოჭადრაკე ქალი, 21. კორეის ნაკრების ფეხბურთელი, 22. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 1994 წ. მსოფლიო ჩემპიონი, 23. გაფრთხილება ძიუდოში, 24. კორეის ფეხბურთელთა ნაკრების წევრი.

ვერტიკალურად: 1. ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი ძიუდოისტი, 2. მსოფლიოს უძლიერესი ჰოკეისტი *(ფოტო)*, 3. იაპონიის ნაკრების ფეხბურთელი, 4. იაპონიის ნაკრების ფეხბურთელი, 6. ნბა-ს კლუბი, 8. წარსულში ცნობილი რუსი ფეხბურთელი, 11. ცნობილი ჩოგბურთელი ქალის ევერტის სახელი, 15. უმაღლესი ჭილდო ჭადრაკში და ხელოვნებაში, 16. ბელგიის ფეხბურთელთა ნაკრების წევრი, 17. მოკრივეთა სარბიელი, 18. სპორტის სახეობა, 19. ურუგვაელი თანამედროვე ფეხბურთელი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 2. სპარო, 5. რუბცოვა, 6. ლონდონი, 8. მენოტი, 9. არტემე, 10. ოუენსი, 11. ალმაო, 12. ოვერატი, 15. დასავი, 17. აცტეკა, 18. აზმაიფარაშვილი, 19. დეკადა, 21. როდნინა, 23. ლევერი, 25. სკონტო, 27. ანთაძე, 28. სავონი, 29. ლატეკი, 30. ალბერტი, 31. ნორდელი, 33. აპოელი.

შვეულად: 1. ჭორიძე, 2. სამპდორია, 3. ოლიმპიადა, 4. ანელკა, 5. რომარიო, 7. ირიბარი, 13. ადემარი, 16. სინიორი, 19. დარასაელია, 20. ალბერტინი, 21. რეკლამა, 26. ორტერი, 28. სივორი.

დიაგონალურად: 5-14. რიხტერი, 15-7. დრაკონი, 30-21. ანგლომა, 23-32. ღასკერი.

საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი (სოფ. კარდენახი)



a b c d e f g h

შამათი 2 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლჯ8!
1. ...მჯ:d7 2. ლc8X.
1. ...მჯ:f5 2. ლჯ4X.
1. ...მჯd5 3. ლ:f7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე